პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
30 მარტი
1940 წ.
№ 74 (5775)
ფასი 10 კაპ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭომ, მოისმინა რა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის მოხსენება მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ, ადგენს:

მოწონებულ იქნას მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

მოხსენება მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე 1940 წლის 29 მარტს

ამხანაგო დეპუტატებო!

უმაღლესი საბჭოს უკანასკნელი სესიის დროიდან ხუთმა თვემ განვლო. ამ მოკლე პერიოდის განმავლობაში მოხდა ისეთი ამბები, რომლებსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებაში. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა უმაღლესი საბჭოს ახლანდელ სესიაზე განვიხილოთ საკითხები, რომლებიც ჩვენს საგარეო პოლიტიკას ეხება.

საერთაშორისო ცხოვრებაში უკანასკნელად მომხდარი ამბები საჭიროა განხილულ იქნას, უწინარეს ყოვლისა, ომთან დაკავშირებით, რომელიც დაიწყო ცენტრალურ ევროპაში გასული წლის შემოდგომაზე. ინგლის-საფრანგეთის ბლოკსა და გერმანიას შორის წარმოებულ ომში დღემდე დიდი ბრძოლები არ მომხდარა, და საქმე იფარგლებოდა ცალკეული შეტაკებებით, უმთავრესად ზღვაში, აგრეთვე ჰაერში. მაგრამ ცნობილია, რომ გერმანიის მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ, რაც ჯერ კიდევ გასული წლის დამლევს გამოითქვა, უარყოფილ იქნა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მიერ, რის გამოც ომის გაჩაღებისათვის მზადება ორივე მხრივ კიდევ უფრო გაძლიერდა.

გერმანია, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში გააერთიანა 80 მილიონამდე გერმანელი, რომელმაც თავისი ბატონობის ქვეშ მოაქცია ზოგიერთი მეზობელი სახელმწიფო და სამხედრო მხრივ ბევრად გაძლიერდა, როგორც ეტყობა, ევროპის მთავარი იმპერიალისტური სახელმწიფოების—ინგლისისა და საფრანგეთის საშიშ კონკურენტი გახდა. ამიტომ, პოლონეთის წინაშე თავიანთ ვალდებულებათა შესრულების საბაბით, მათ ომი გამოუცხადეს გერმანიას. ახლა განსაკუთრებით ნათლად ჩანს, თუ როგორ დაშორებულია ამ სახელმწიფოთა მთავრობების ნამდვილი მიზნები დაშლილი პოლონეთის ან ჩეხოსლოვაკიის დაცვის ინტერესებს. ეს უკვე იქიდან ჩანს, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა ამ ომში თავის მიზნად გამოაცხადეს გერმანიის განადგურება და დანაწილება, თუმცა ამ მიზანს ხალხის მასების წინაშე ჯერ კიდევ ნიღბავენ „დემოკრატიული" ქვეყნებისა და პატარა ხალხთა „უფლებების" დაცვის ლოზუნგებით.

რამდენადაც საბჭოთა კავშირს არ სურდა გამხდარიყო ინგლისისა და საფრანგეთის ხელშემწყობად გერმანიის წინააღმდეგ ამ იმპერიალისტური პოლიტიკის გატარებაში, საბჭოთა კავშირის მიმართ მათი პოზიციები კიდევ უფრო მტრული გახდა, რაც ნათლად მოწმობს, თუ რამდენად ღრმაა სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ იმპერიალისტების მტრული პოლიტიკის კლასობრივი ფესვები. ხოლო ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტები მზად იყვნენ ფინეთში დაწყებული ომი გაეხადათ დასაყრდენ პუნქტად სსრ კავშირის წინააღმდეგ ომისათვის, და ამ მიზნით გამოეყენებინათ არა მარტო თვით ფინეთი, არამედ სკანდინავიის ქვეყნებიც—შვეცია და ნორვეგია.

ევროპაში გაჩაღებული ომისადმი საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება ცნობილია. სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა, მშვიდობისმოყვარულობით გამსჭვალული, აქაც სრული გარკვეულობით იქნა დემონსტრირებული. საბჭოთა კავშირმა მაშინვე განაცხადა, რომ იგი ნეიტრალიტეტის პოზიციაზე დგას, და განუხრელად ატარებდა ამ პოლიტიკას მთელი გასული პერიოდის მანძილზე.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ურთიერთობის მკვეთრად გაუმჯობესებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა თავდაუსხმელობის ხელშეკრულებაში, რომელიც ხელმოწერილ იქნა გასული წლის აგვისტოში. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ეს ახალი, კარგი ურთიერთობა გამოცდილებით იქნა შემოწმებული ყოფილ პოლონეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით და ამ ურთიერთობამ საკმაოდ ცხადჰყო თავისი სიმტკიცე. ეკონომიური ურთიერთობის განვითარებამ, რაც გათვალისწინებული იყო ჯერ კიდევ მაშინ, გასული წლის შემოდგომაზე, თავისი კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა ჯერ აგვისტოს (1939 წ.), შემდეგ კი თებერვლის (1940 წ.) სავაჭრო შეთანხმებებში. გერმანიასა და სსრ კავშირს შორის საქონელბრუნვამ იწყო გადიდება ურთიერთ სამეურნეო სარგებლობის საფუძველზე, და არსებობს მისი შემდგომი განვითარების საფუძვლები.

ჩვენი ურთიერთობა ინგლისთან და საფრანგეთთან რამდენადმე სხვანაირად ჩამოყალიბდა. რამდენადაც საბჭოთა კავშირმა არ მოისურვა გამხდარიყო ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების იარაღი მათ ბრძოლაში მსოფლიო ჰეგემონიისათვის გერმანიის წინააღმდეგ, ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებოდით ჩვენი ქვეყნის მიმართ მათს ღრმად მტრულ პოლიტიკას. განსაკუთრებით შორს წავიდა საქმე ფინეთის საკითხში, რაზედაც შემდეგ შევჩერდები. მაგრამ სსრ კავშირის მიმართ საფრანგეთისა და ინგლისის მტრული პოლიტიკის სხვა ფაქტებიც ამ უკანასკნელ თვეებში ცოტა როდი იყო.

საკმარისია აღინიშნოს, რომ საფრანგეთის ხელისუფალთ სხვა უკეთესი ვერა გამონახეს რა, გარდა იმისა, რომ ორი თვის წინათ მოეწყოთ პოლიციის თავდასხმა ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობაზე პარიზში. სავაჭრო წარმომადგენლობაში მოხდენილმა ჩხრეკამ, მიუხედავად ყოველნაირი შარის მოდებისა, არავითარი შედეგი არ მოიტანა. მან მხოლოდ თავლაფი დასხა ამ საზიზღარი საქმის ინიციატორებს და ცხადჰყო, რომ ჩვენი ქვეყნისადმი ამ მტრული აქტისათვის არავითარი რეალური საბაბი არ მოიპოვებოდა. როგორც საფრანგეთში მყოფი ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. სურიცის გამოწვევასთან დაკავშირებული საქმის ვითარებიდან ჩანს, საფრანგეთის მთავრობა ხელოვნურ საბაბს ეძებს, რათა ხაზგასმით აღნიშნოს თავისი მტრობა საბჭოთა კავშირისადმი. რათა ცხადი გამხდარიყო, რომ საბჭოთა კავშირი საფრანგეთზე უფრო მეტად არ არის დაინტერესებული ორივე ქვეყნის ურთიერთობით, ჩვენ ამხ. სურიცი გამოვიწვიეთ სრულუფლებიანი წარმომადგენლის პოსტიდან, რომელიც მას საფრანგეთში ეკავა.

ან აიღეთ სსრ კავშირისადმი მტრული აქტების ისეთი მაგალითები, როგორიცაა ინგლისის სამხედრო გემების მიერ შორეულ აღმოსავლეთში ჩვენი იმ ორი გემის შეპყრობა, რომლებიც ამერიკასა და ჩინეთში ჩვენს მიერ შესყიდული საქონლითურთ ვლადივოსტოკს მიდიოდნენ. თუ ამას დავუმატებთ ისეთ ფაქტებს, რომ ინგლისში უარი სთქვეს სამრეწველო მოწყობილობის ჩვენი ძველი დაკვეთების შესრულებაზე, რომ საფრანგეთში ყადაღა დაადეს სავაჭრო წარმომადგენლობის ფულადს თანხებს და მრავალი სხვა, მაშინ ინგლისისა და საფრანგეთის ხელისუფალთა მოქმედების მტრული ხასიათი საბჭოთა კავშირისადმი უფრო აშკარა გახდება.

იყო ცდები ჩვენი საგარეო ვაჭრობისადმი ეს მტრული აქტები იმით გაემართლებინათ, რომ გერმანიასთან ვაჭრობით ჩვენ დახმარებას ვუწევთ უკანასკნელს ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ ომში. ძნელი არ არის დავრწმუნდეთ, რომ ეს არგუმენტები გახვრეტილ ფარად არა ღირს. ამისათვის საჭიროა შევადაროთ სსრ კავშირი თუნდაც რუმინეთს.

ცნობილია, რომ რუმინეთის მთელი საგარეო საქონელბრუნვის ნახევარს გერმანიასთან ვაჭრობა შეადგენს, თანაც რუმინეთის ნაციონალური პროდუქციის ის წილი, რომელიც გერმანიაში გააქვთ, მაგალითად, ისეთი ძირითადი საქონლისა, როგორიც არის ნავთპროდუქტები და მარცვლეული, ბევრად აღემატება სსრ კავშირის ნაციონალური პროდუქციის იმ წილს, რომელიც ჩვენ გაგვაქვს გერმანიაში. მიუხედავად ამისა, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობანი რუმინეთის მიმართ მტრულ აქტებს არ მიმართავენ და შესაძლებლად არ მიაჩნიათ მოსთხოვონ რუმინეთს გერმანიასთან ვაჭრობის შეწყვეტა. სულ სხვაგვარია დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი. მაშასადამე, საბჭოთა კავშირისადმი ინგლისისა და საფრანგეთის მხრივ მტრული აქტები აიხსნება არა გერმანიასთან სსრ კავშირის ვაჭრობით, არამედ იმით, რომ ინგლის-საფრანგეთის მმართველ წრეებს იმედი გაუცრუვდათ, რომ გერმანიის საწინააღმდეგო ომში ჩვენს ქვეყანას გამოიყენებდნენ, და ისინი, ამის გამო, საბჭოთა კავშირის მიმართ შურისძიების პოლიტიკას ახორციელებენ.

საჭიროა დავძინოთ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მხრივ ყველა ეს მტრული მოქმედება ხორციელდებოდა მიუხედავად იმისა, **რომ საბჭოთა კავშირს აქამდე არავითარი მტრული მოქმედება არ ჩაუდენია ამ ქვეყნების მიმართ.** „ინდოეთში", „აღმოსავლეთში" და სხვ. წითელი არმიის რაღაც ლაშქრობათა ფანტასტიური გეგმები კი, რომელთაც საბჭოთა კავშირს მიაწერენ, ისეთი ცხადი უგუნურობაა, რომ მსგავს უაზრო როშვას მხოლოდ ის ადამიანები დაუჯერებენ, რომლებმაც ჭკუა მთლად დაჰკარგეს **(სიცილი).** საქმე, რასაკვირველია, ამაში როდია. საქმე, ცხადია, იმაშია, რომ ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს, ინგლის-საფრანგეთის მმართველ წრეებს არ მოსწონთ. ამასთანავე ნერვები მათ, ეტყობა, მთლად რიგზე ვერა აქვთ **(სიცილი).** მათ სურთ თავს მოგვახვიონ სხვა პოლიტიკა—გერმანიასთან მტრობისა და ომის პოლიტიკა, პოლიტიკა, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მათ სსრ კავშირი იმპერიალისტური მიზნებისათვის გამოეყენებინათ. დროა შეიგნონ ამ ვაჟბატონებმა, რომ საბჭოთა კავშირი არ ყოფილა და არასოდეს არ იქნება სხვისი პოლიტიკის იარაღი, რომ სსრ კავშირი ყოველთვის ატარებდა და შემდეგშიც გაატარებს თავის საკუთარ პოლიტიკას და ანგარიშს არ გაუწევს იმას, მოსწონთ ეს სხვა ქვეყნების ვაჟბატონებს, თუ არ მოსწონთ. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გადავდივარ ფინეთის საკითხზე.

რა არის იმ ომის აზრი, რომელიც ფინეთში გაჩაღებული იყო ამ უკანასკნელი სამი თვისა და მეტი ხნის განმავლობაში? თქვენ იცით, რომ ამ ამბების აზრი მდგომარეობდა საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ-დასავლეთი საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფასა და, უწინარეს ყოვლისა, ლენინგრადის უშიშროების უზრუნველყოფაში.

გასული წლის ოქტომბრისა და ნოემბრის განმავლობაში საბჭოთა მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებდა ფინეთის მთავრობასთან ისეთ წინადადებათა შესახებ, რომელთა განხორციელება თანამედროვე, სულ უფროდაუფრო დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში ჩვენ სრულიად აუცილებლად და გადაუდებლად მიგვაჩნდა ჩვენი ქვეყნის უშიშროების უზრუნველსაყოფად და, განსაკუთრებით, ლენინგრადის უშიშროების უზრუნველსაყოფად. ფინეთის წარმომადგენლების მიერ დაკავებული არამეგობრული პოზიციის გამო, ამ მოლაპარაკებიდან არაფერი არ გამოვიდა. საკითხის გადაწყვეტა ომის ველზე იქნა გადატანილი. შეიძლება დარწმუნებით ითქვას: ფინეთის მიმართ გარეშე გავლენა რომ არ ყოფილიყო, ფინეთი რომ ზოგიერთ მესამე სახელმწიფოთ ნაკლებად წაექეზებინათ საბჭოთა კავშირის მიმართ მტრული პოლიტიკისათვის, საბჭოთა კავშირი და ფინეთი უკვე გასული წლის შემოდგომაზე მშვიდობიანად შეუთანხმდებოდნენ ერთმანეთს და საქმე უომრად გათავდებოდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მთავრობამ თავისი სურვილები მინიმუმამდე დაიყვანა, საქმე დიპლომატიური გზით ვერ მოგვარდა.

ახლა, როცა საომარი მოქმედება ფინეთში დამთავრებულია და სსრ კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის ხელმოწერილია საზავო ხელშეკრულება, საჭიროა და შეიძლება ფინეთში წარმოებული ომის მნიშვნელობის შესახებ უდავო ფაქტების საფუძველზე ვიმსჯელოთ. ეს ფაქტები კი თავისთავად მეტყველებენ. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ლენინგრადის მახლობლად, მთელი კარელიის ყელზე, 50-60 კილომეტრ სიღრმეზე, ფინეთის ხელისუფალთ აეგოთ მრავალი და მძლავრი რკინაბეტონისა და გრანიტ-მიწის სამხედრო სიმაგრენი არტილერიითა და ტყვიამფრქვევებითურთ. ამ სიმაგრეთა რაოდენობა მრავალ ასეულს შეადგენს. ეს სამხედრო სიმაგრენი, განსაკუთრებით რკინაბეტონის ნაგებობანი, რომლებმაც მნიშვნელოვან სამხედრო სიმძლავრეს მიაღწიეს, რომლებსაც ჰქონდათ სპეციალური ტანკსაწინააღმდეგო თხრილებითა და გრანიტის ბოძკანტებით გარემოცული მიწისქვეშა სასვლელები და დაცული იყვნენ მრავალი ნაღმიანი ველის მოწყობილობით,—საერთოდ შეადგენდნენ ეგრეთწოდებულ „მანერჰაიმის ხაზს", რაც აგებული იყო სათანადო უცხოელი სპეციალისტების ხელმძღვანელობით „მაჟინოს ხაზის" და „ზიგფრიდის ხაზის" მსგავსად. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიმაგრენი დღემდე მიუვალად ითვლებოდნენ, ე. ი. ისეთ სიმაგრეებად, რომლებიც აქამდე ვერცერთ არმიას ვერ დაუმსხვრევია. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ფინეთის სამხედრო ხელისუფალნი წინასწარ ცდილობდნენ ამ რაიონების თვითეული პატარა სოფელიც კი გადაექციათ იარაღით, რადიოანტენებით, საწვავი მასალის სვეტებით და სხვ. მომარაგებულ გამაგრებულ პუნქტად. სამხრეთ და აღმოსავლეთ ფინეთში ბევრ ადგილას უშუალოდ ჩვენი საზღვრისაკენ გაყვანილი იყო სტრატეგიული რკინიგზის ხაზები და გზატკეცილები, რომლებსაც არავითარი სამეურნეო მნიშვნელობა არა აქვთ.

მოკლედ რომ ითქვას, ფინეთში წარმოებულმა საომარმა მოქმედებამ გვიჩვენა, რომ ფინეთი და, უწინარეს ყოვლისა, კარელიის ყელი უკვე 1939 წლისათვის გადაქცეული იყო მესამე სახელმწიფოთა მზა სამხედრო პლაცდარმად საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის, ლენინგრადზე თავდასხმისათვის.

უდავო ფაქტებმა გვიჩვენეს, რომ ფინეთის მტრული პოლიტიკა, რასაც ჩვენ წარსული წლის შემოდგომაზე წავაწყდით, შემთხვევითი როდი ყოფილა. საბჭოთა კავშირისადმი მტრულმა ძალებმა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ და, უწინარეს ყოვლისა, ლენინგრადის წინააღმდეგ ფინეთში ისეთი სამხედრო პლაცდარმი მოამზადეს, რომელსაც გარკვეულ, სსრ კავშირისათვის არახელსაყრელ საგარეო ვითარებაში თავისი როლი უნდა ეთამაშნა იმპერიალისტების ანტისაბჭოთა ძალებისა და მათი ფინელი მოკავშირეების გეგმებში.

წითელმა არმიამ არა მარტო გაანადგურა „მანერჰაიმის ხაზი", რითაც დიდებით შეიმოსა თავი, როგორც პირველმა არმიამ, რომელმაც უძნელეს პირობებში გაჰკაფა გზა სავსებით თანამედროვე სამხედრო სიმაგრეების დიდ მძლავრ ზოლში,—წითელმა არმიამ წითელ ფლოტთან ერთად არა მარტო გაანადგურა ფინეთის სამხედრო პლაცდარმი, რომელიც ლენინგრადზე თავდასასხმელად იყო მომზადებული, არამედ მოახდინა კიდეც ლიკვიდაცია ზოგიერთი ანტისაბჭოთა გეგმისა, რომლებსაც უკანასკნელი წლების მანძილზე ულოლიავებდნენ ზოგიერთი მესამე ქვეყნები. **(ხანგრძლივი ტაში).**

თუ რამდენად შორს წავიდა ჩვენი ქვეყნისადმი მტრობა ფინეთის მმართველ და სამხედრო წრეებში, რომლებიც სსრ კავშირის წინააღმდეგ საომარ პლაცდარმს ამზადებდნენ, ჩანს აგრეთვე იმ განსაკუთრებული ბარბაროსობისა და მხეცობის მრავალრიცხოვანი ფაქტებიდან, რასაც თეთრგვარდიელი ფინელები დაჭრილ და ტყვედ ჩავარდნილ წითელარმიელთა წინააღმდეგ მიმართავდნენ. მაგალითად, როდესაც ლადოგის ტბის ჩრდილოეთით მდებარე ერთერთ რაიონში ფინელები გარს შემოერტყნენ სანიტარულ მიწურებს, სადაც 120 მძიმედ დაჭრილი იმყოფებოდა, ყველა ისინი თეთრგვარდიელმა ფინელებმა მოსპეს, მათი ნაწილი დასწვეს, ნაწილი თავგატეხილი იქნა აღმოჩენილი, დანარჩენთათვის კი ხიშტებით ან ტყვიებით მოესწრაფებინათ სიცოცხლე. სასიკვდილო ჭრილობათა მიუხედავად, დაღუპულების მნიშვნელოვან ნაწილს აქ, ისე როგორც სხვა ადგილებში, თავზე ემჩნეოდა ტყვიების მოხვედრისა და კონდახების დარტყმით მოკვლის ნიშნები, ხოლო ცეცხლმსროლელი იარაღით მოკლულთა ნაწილს სახეზე ჰქონდა ფინური დანებით მიყენებული ჭრილობები. ზოგიერთ გვამს თავი ჰქონდა მოკვეთილი და თავები კი არსად აღმოჩნდა. თეთრგვარდიელ ფინელთა ხელში ტყვედჩავარდნილ სანიტარ ქალთა მიმართ სპეციალურ დაცინვასა და უმაგალითო სიმხეცეს იჩენდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში მოკლულთა გვამები ხეებზე იყო მიყუდებული თავდაღმა. მთელი ეს ბარბაროსობა და უამრავი სიმხეცე წარმოადგენს ფინელ თეთრგვარდიელთა პოლიტიკის ნაყოფს, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთ ხალხში გაეღვივებინათ სიძულვილი ჩვენი ქვეყნისადმი.

ასეთია „დასავლეთის ცივილიზაციის" ფინელ დამცველთა სახე.

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ფინეთთან ომი ფინეთის ჯართან უბრალო შეტაკება როდი იყო. არა, აქ საქმე უფრო რთული იყო. აქ მოხდა ჩვენი ჯარის შეტაკება არა მარტო ფინეთის ჯართან, არამედ მთელი რიგი ქვეყნების იმპერიალისტთა შეერთებულ ძალებთან, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვების ჩათვლით, რომლებიც ფინეთის ბურჟუაზიას ეხმარებოდნენ ყოველგვარი სახის იარაღით და განსაკუთრებით არტილერიითა და თვითმფრინავებით, აგრეთვე თავიანთი ხალხით „მოხალისეთა" სახით, თავიანთი ოქროთი და ყოველგვარი მომარაგებით, თავიანთი გააფთრებული აგიტაციით მთელს მსოფლიოში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის ყოველნაირად გაღვივებისათვის. ამას უნდა დავძინოთ, რომ საბჭოთა კავშირის მტრების გააფთრებულ ღმუილში მუდამ გამოირჩეოდა მწივანა ხმა ყველა ამ პროსტიტუირებული „სოციალისტებისა" II ინტერნაციონალიდან **(მხიარული გამოცოცხლება დარბაზში),** ყველა ამ ეტლისა და ბლიუმებისა, სიტრინებისა და ჟუოებისა, ტრანმელებისა და ჰეგლუნდებისა — კაპიტალის ლაქიებისა, რომლებიც საბოლოოდ მიეყიდნენ ომის გამჩაღებლებს.

ინგლისის პრემიერმა ჩემბერლენმა, რომელიც 19 მარტს თემთა პალატაში გამოვიდა, არა მარტო გამოსთქვა თავისი ბოროტი მწუხარება იმის გამო, რომ ვერ მოახერხა ხელი შეეშალა ომის დამთავრებისათვის ფინეთში, რითაც მთელი მსოფლიოს წინაშე გამოაშკარავა თავისი „მშვიდობისმოყვარული" იმპერიალისტური სული **(სიცილი),** არამედ რაღაც ანგარიშის მაგვარიც კი გააკეთა იმის შესახებ, თუ სახელდობრ როგორ და რითი ცდილობდნენ ინგლისის იმპერიალისტები ხელი შეეწყოთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის გაჩაღებისათვის ფინეთში. ჩემბერლენმა გამოაქვეყნა იმ სამხედრო მასალების სია, რასაც ფინეთს დაჰპირდნენ და რაც გაუგზავნეს: დაპირებული იყო 152 თვითმფრინავი, გაიგზავნა—101 თვითმფრინავი; დაპირებული იყო 223 ქვემეხი, გაიგზავნა 114; დაპირებული იყო 297 ათასი ყუმბარა, გაიგზავნა—185 ათასი; ვიკერსის ზარბაზნები დაპირებული იყო—100, გაიგზავნა 100; დაპირებული იყო 20.700 საავიაციო ყუმბარა, გაიგზავნა 15.700; დაპირებული იყო 20.000 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, გაიგზავნა—10.000 და სხვ. ჩემბერლენი მოურიდებლად ლაპარაკობდა იმაზედაც, რომ „საექსპედიციო ნაწილების გასაგზავნად მზადება მაქსიმალური სისწრაფით სწარმოებდა და საექსპედიციო არმია 100 ათასი კაცის რაოდენობით მზად იყო გასაგზავნად მარტის დამდეგს—იმ ვადამდე ორი თვით ადრე, რაც მანერჰაიმმა დანიშნა მათ ჩასასვლელად ფინეთში... ეს ჯარი უკანასკნელი როდი უნდა ყოფილიყო".

აი რა სახისაა სინამდვილეში „მშვიდობისმოყვარე" ინგლისელი იმპერიალისტი თავისივე საკუთარი აღიარებით.

რაც შეეხება საფრანგეთს, საფრანგეთის პრესის ცნობებით, იქიდან ფინეთში გაიგზავნა 179 თვითმფრინავი, 472 ქვემეხი, 795.000 ყუმბარა, 5.100 ტყვიამფრქვევი, 200.000 ხელყუმბარა და სხვ. 11 მარტს საფრანგეთის მაშინდელმა პრემიერმა დალადიემ დეპუტატთა პალატაში განაცხადა, რომ „საფრანგეთი სათავეში ჩაუდგა იმ ქვეყნებს, რომლებიც დასთანხმდნენ სამხედრო მასალების მიწოდებას ფინეთისათვის და, კერძოდ, საფრანგეთმა, ჰელსინკის თხოვნით, ეს-ეს არის გაჰგზავნა ფინეთში ულტრათანამედროვე ყუმბარმშენები". დალადიე აცხადებდა, რომ „26 თებერვლიდან საფრანგეთის ჯარის საექსპედიციო კორპუსი შეიარაღებული და მომზადებულია. მრავალი გემი მზად არის გაემგზავროს ლამანშისა და ატლანტიკის სანაპიროს ორი დიდი ნავსადგურიდან". დალადიე აგრეთვე აცხადებდა, რომ მოკავშირეები „დაეხმარებიან ფინეთს მთელი დაპირებული ძალებით".

საბჭოთა კავშირისადმი დალადიეს ეს მტრული განცხადებანი თავისთავად მეტყველებენ. მაგრამ საჭირო არ არის შევჩერდეთ ამ მტრულ განცხადებებზე, რამდენადაც მათში, როგორც ჩანს, უკვე სავსებით აღარ არსებობს აზროვნების ჯანსაღი მიმდინარეობა. **(მხიარული გამოცოცხლება დარბაზში).**

საჭიროა კიდევ აღინიშნოს შვეციის მონაწილეობა ფინეთის ომში. იმ ცნობებით, რომლებიც შვეციის ყველა გაზეთში დაიბეჭდა, შვეციამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დროისათვის ფინეთის განკარგულებაში გადასცა „განსაზღვრული რაოდენობა თვითმფრინავებისა, რომლებიც დაახლოებით შეადგენდნენ შვეციის მაშინდელი მთელი სამხედრო-საჰაერო ძალების ერთ მეხუთედს". შვეციის სამხედრო მინისტრის განცხადებით, ფინელებმა შვეციიდან მიიღეს 84.000 შაშხანა, 575 ტყვიამფრქვევი, 300-ზე მეტი საარტილერიო ქვემეხი, 300 ათასი ყუმბარა, 50 მილიონი ვაზნა. მთელი ეს მასალა, მინისტრის განცხადებით, უახლესი ნიმუშისა იყო.

ფინეთში ომის გაღვივების საქმეში არც იტალია ჩამორჩენილა. მან, მაგალითად, ფინეთში გაჰგზავნა 50 სამხედრო თვითმფრინავი.

ფინეთს სამხედრო დახმარება მოსდიოდა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რომელიც ესოდენ ერთგულია „მშვიდობისმოყვარეობისა" **(საერთო სიცილი).**

ყოველგვარი შეიარაღების საერთო რაოდენობა, რაც ფინეთს სხვა ქვეყნებიდან გაეგზავნა მარტო ომის დროის განმავლობაში, არასრული ცნობებით, იყო: თვითმფრინავები — არანაკლებ 350-სა, საარტილერიო ქვემეხები—1.500-მდე, 6.000-ზე მეტი ტყვიამფრქვევი, 100 ათასამდე შაშხანა, 650.000 ხელყუმბარა, 2.500.000 ჭურვი, 160.000.000 ვაზნა და კიდევ მრავალი სხვა.

საჭირო არ არის მოვიყვანოთ სხვა ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ფინეთში საქმე შეეხებოდა არა უბრალოდ ჩვენს შეტაკებას ფინეთის ჯართან, არამედ საბჭოთა კავშირისადმი ყველაზე მტრულად განწყობილი მთელი რიგი იმპერიალისტური ქვეყნების შეერთებულ ძალებთან შეტაკებას. დაამარცხეს რა მტრების ეს შეერთებული ძალები, წითელმა არმიამ და წითელმა ფლოტმა ახალი სახელოვანი ფურცელი ჩასწერეს თავიანთ ისტორიაში და დაგვანახვეს, რომ ჩვენს ხალხში დაუშრეტელია სიმამაცის, თავდადებისა და გმირობის წყარო. **(მქუხარე ტაში).**

ფინეთში წარმოებულმა ომმა როგორც ჩვენგან, ისე ფინელებისაგან დიდი მსხვერპლი მოითხოვა. ჩვენი გენერალური შტაბის გამოანგარიშებით, ჩვენს მხარეზე მოკლულთა და ჭრილობისაგან გარდაცვლილთა რაოდენობა შეადგენს 48.745 კაცს, ესე იგი, 49 ათას კაცზე ცოტა ნაკლებს, დაჭრილთა რაოდენობა — 158.863 კაცს. ფინეთის მხრივ ცდილობენ შეამცირონ თავისი მსხვერპლი, მაგრამ ფინელთა მსხვერპლი ჩვენსაზე გაცილებით მეტია. ჩვენი გენერალური შტაბის მინიმალური გამოანგარიშებით, ფინელთა მხარეზე მოკლულთა რიცხვი აღწევს არანაკლებ 60 ათას კაცს, ჭრილობისაგან გარდაცვლილთა ჩაუთვლელად, ხოლო დაჭრილთა რაოდენობა—არანაკლებ 250.000 კაცს. ამგვარად, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ფინეთის არმია შესდგებოდა არანაკლებ 600 ათასი კაცისაგან, უნდა ვაღიაროთ, რომ ფინეთის არმიამ მოკლულთა და დაჭრილთა სახით თავისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი დაჰკარგა.

ასეთია ფაქტები.

რჩება საკითხი — მაინც რისთვის იყო, რომ ინგლისისა და საფრანგეთის, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ქვეყნის მმართველი წრეები ასე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამ ომში ფინეთის მხარეზე, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები გააფთრებით ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ომის დამთავრებისა და მშვიდობიანობის აღდგენისათვის ფინეთში, თუმცა ისინი არავითარი ვალდებულებით არ არიან დაკავშირებულნი ფინეთის მიმართ. ცნობილია აგრეთვე, რომ ერთ დროს, როდესაც საფრანგეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის ურთიერთდახმარების პაქტიც კი არსებობდა, საფრანგეთი არ დაეხმარა ჩეხოსლოვაკიას. ხოლო ფინეთს პირდაპირ თავზე ახვევდნენ თავიანთ სამხედრო დახმარებას როგორც საფრანგეთი, ისე ინგლისი, ოღონდ კი ხელი შეეშალათ ომის დამთავრებისათვის და ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მშვიდობიანობის აღდგენისათვის. კალმის დაქირავებული ყაჩაღები — ყოველგვარ მწერალთა რიცხვიდან, რომლებიც საგაზეთო ყალთაბანდობასა და მოტყუებაში არიან დახელოვნებულნი, ცდილობენ ინგლის-საფრანგეთის წრეების ასეთი საქციელი „მცირე ხალხებისათვის" განსაკუთრებული მზრუნველობით ახსნან. მაგრამ ინგლისისა და საფრანგეთის ამ პოლიტიკის ახსნა მცირე სახელმწიფოს ინტერესებისათვის განსაკუთრებული მზრუნველობით პირდაპირ სასაცილოა. აგრეთვე სრულიად არაგონებამახვილურია მისი ახსნა ერთა ლიგის წინაშე ნაკისრი ვალდებულებებით, ერთა ლიგისა, რომელმაც თავისი წევრის დაცვა მოითხოვაო.

ნამდვილად კი, ჯერ ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც იტალიამ დაიპყრო და მოსპო დამოუკიდებელი ალბანეთი, რომელიც ერთა ლიგის წევრად ითვლებოდა, და მერე რა მოხდა? გამოვიდნენ თუ არა ინგლისი და საფრანგეთი ალბანეთის დასაცავად, აღიმაღლეს თუ არა მათ თუნდაც სუსტი ხმა იტალიის დამპყრობლურ მოქმედებათა წინააღმდეგ, იტალიისა, რომელმაც ძალით დაიმორჩილა ალბანეთი, ანგარიში არ გაუწია მის მოსახლეობას, რომელიც ერთ მილიონ კაცს აღემატება, და ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ ალბანეთი ერთა ლიგის წევრია? არა, არც ინგლისის, არც საფრანგეთის მთავრობას, არც ამერიკის შეერთებულ შტატებს, არც ერთა ლიგას, რომელმაც ყოველგვარი ავტორიტეტი დაჰკარგა იმის გამო, რომ აქ ისევ ის ინგლისელ-ფრანგი იმპერიალისტები ბატონობენ, თითიც კი არ გაუნძრევიათ ამ შემთხვევის გამო. მცირე ხალხების ამ „დამცველებმა", ერთა ლიგის წევრთა უფლებების ამ „მოსარჩლეებმა" მთელი 12 თვის მანძილზე ვერ გაბედეს ერთა ლიგის განსახილველად შეეტანათ საკითხი იტალიის მიერ ალბანეთის დაპყრობის შესახებ, რაც ჯერ კიდევ გასული წლის აპრილში მოხდა. კიდევ მეტი, მათ ფაქტიურად დაადასტურეს ეს დაპყრობა. მაშასადამე, ის გარემოება, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები დახმარებას უწევდნენ ფინეთს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სრულიადაც არ აიხსნება მცირე ხალხების დაცვითა და ერთა ლიგის წევრთა უფლებების დაცვით. ეს დახმარება აიხსნება იმით, რომ ფინეთში მათ ჰქონდათ მზა სამხედრო პლაცდარმი სსრ კავშირზე თავდასხმის შემთხვევისათვის, ხოლო ალბანეთს ასეთი ადგილი არ ეჭირა მათს გეგმებში. ნამდვილად კი, მცირე ხალხების უფლებები და ინტერესები იმპერიალის-

(დასასრული იხ. მე-2 გვ.).

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

მოხსენება მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე 1940 წლის 29 მარტს

(დასასრული)

ტთა ხელში ხურდა ფულს წარმოადგენს.

ინგლისის იმპერიალისტთა ხელმძღვანელი გაზეთი „ტაიმსი“, ისევე როგორც საფრანგეთის იმპერიალისტთა ხელმძღვანელი გაზეთი „ტანი“, ინგლისისა და საფრანგეთის სხვა ბურჟუაზიულ გაზეთებს თავი რომ დავანებოთ, უკანასკნელ თვეებში აშკარად მოუწოდებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციისაკენ, ამასთან ოდნავადაც არ უწევდნენ ანგარიშს იმას, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის, ერთი მხრივ, და საბჭოთა კავშირს შორის, მეორე მხრივ, არსებობს ეგრეთწოდებული ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა. ამ ხელმძღვანელ ბურჟუაზიულ გაზეთებთან შეხმატკბილებულად, და კიდეც უსწრებენ რა მათ, სიტყვებით გამოდიან იმ სალაქიოს ადამიანები, რომელიც ახლა მოწყობილია თვითეულ „რიგიან“ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, ეტლის ტიპის „სოციალისტებისათვის“ ინგლისში, ბლიუმის ტიპისა — საფრანგეთში, რომლებიც ასეთ გულმოდგინებას იჩენენ ომის გაღვივებისა და შემდგომი გაფართოებისათვის. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტური პრესის და მისი ამ „სოციალისტი“ ამყოლების გამოსვლებში გაისმის ხმა იმავე გამხეცებული იმპერიალიზმისა, რომელსაც სძულს სოციალისტური სახელმწიფო და რომელსაც ჩვენ ვიცნობთ საბჭოთა კავშირის არსებობის პირველივე დღეებიდან. ჯერ კიდევ 1919 წლის 17 აპრილს ინგლისის „ტაიმსი“ სწერდა:

„თუ ჩვენ გადავხედავთ რუკას, დავინახავთ, რომ პეტროგრადის საუკეთესო მისასვლელს წარმოადგენს ბალტიკა და რომ მისკენ უმოკლესი და ყველაზე ადვილი გზა გადის ფინეთზე, რომლის საზღვრები რუსეთის დედაქალაქისაგან დაშორებულია სულ რაღაც 30 მილით. ფინეთი პეტროგრადის გასაღებია, ხოლო პეტროგრადი მოსკოვის გასაღებია“.

თუ საჭირო იყო რაიმე დამამტკიცებელი საბუთი, რომ ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტებს დღემდე არ დაუნებებიათ თავი ასეთი უგუნური გეგმებისათვის, ფინეთში მომხდარი უკანასკნელი ამბების შემდეგ ამ მხრივ ყოველგვარი ბუნდოვანება აღმოფხვრილია. სათანადო გეგმები კვლავ ჩაიშალა, და ეს არა იმიტომ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ანტისაბჭოთა ძალებს გულმოდგინება აკლდათ, და არა მარტო იმიტომ, რომ უკანასკნელ მომენტში ფინეთის, აგრეთვე შვეციისა და ნორვეგიის ხელმძღვანელმა წრეებმა, როგორც იქნა, ერთგვარი კეთილგონიერება გამოიჩინეს. ეს გეგმები ჩაიშალა წითელი არმიის ბრწყინვალე წარმატებათა, განსაკუთრებით, კარელიის ყელზე მოპოვებულ წარმატებათა მეოხებით **(ტაში)**. მაგრამ ვერ დავივიწყებთ, რომ უკანასკნელმა ამბებმა ჩვენ ყველას კვლავ მოგვაგონა, რომ საჭიროა ჩვენი წითელი არმიის ძლიერებისა და ჩვენი ქვეყნის მთელი თავდაცვის შემდგომი განუხრელი განმტკიცება. **(მქუხარე და ხანგრძლივი ტაში)**.

თებერვლის დამდეგს ფინელებმა პრაქტიკულად დააყენეს საკითხი ფინეთში ომის დამთავრებისა. შვეციის მთავრობის მეშვეობით ჩვენ შევიტყვეთ, რომ ფინეთის მთავრობას სურს გაიგოს ჩვენი პირობები, რომელთა საფუძველზედაც შესაძლებელი იქნებოდა ომის დამთავრება. სანამ ამ საკითხს გადავწყვეტდით, ჩვენ მივმართეთ ფინეთის სახალხო მთავრობას, რათა გაგვეგო მისი აზრი ამ საკითხზე. სახალხო მთავრობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ, სისხლისღვრის შეწყვეტისა და ფინელი ხალხის მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, კარგი იქნებოდა ომის დამთავრების შესახებ წინადადების მიღება. მაშინ ჩვენ წამოვაყენეთ პირობები, რომლებიც ფინეთის მთავრობამ მალე მიიღო. უნდა დავძინო, რომ ფინელებთან მოლაპარაკების დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ ინგლისის მთავრობამაც გამოსთქვა სურვილი გამორკვეული ყოფილიყო, შესაძლებელია თუ არა შუამავლობა ფინეთში ომის ვითომ დამთავრების მიზნით **(სიცილი)**, მაგრამ როცა ჩვენმა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ინგლისში, ამხ. მაისკიმ ლონდონს გააცნო ჩვენი სათანადო წინადადებანი, რომლებიც შემდეგ ფინეთმა მთლიანად მიიღო, ინგლისის მთავრობამ აღარ მოისურვა ხელი შეეწყო ომის დამთავრებისათვის და სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მშვიდობიანობის აღდგენისათვის. მიუხედავად ამისა, სსრ კავშირსა და ფინეთს შორის შეთანხმება მალე იქნა მიღწეული. საომარი მოქმედების შეწყვეტისა და ზავის ჩამოგდების შესახებ მიღწეული შეთანხმების შედეგები მოცემულია 12 მარტს ხელმოწერილ საზავო ხელშეკრულებაში. ამასთან დაკავშირებით დადგა საკითხი სახალხო მთავრობის თვითდაშლისა, რაც ამ მთავრობამ კიდეც განახორციელა.

თქვენ იცნობთ საზავო ხელშეკრულებით დაწესებულ პირობებს. ამ ხელშეკრულების თანახმად, შეცვლილ იქნა ფინეთის სამხრეთი და ნაწილობრივ აღმოსავლეთი საზღვრები. მთელი კარელიის ყელი ვიბორგითა და ვიბორგის ყურითურთ, ლადოგის ტბის მთელი დასავლეთი და ჩრდილოეთი სანაპირო, კექსჰოლმთან და სორტავალასთან ერთად, საბჭოთა კავშირის ხელში გადმოვიდა. კანდალაკშის რაიონში, სადაც ფინეთის საზღვარი განსაკუთრებით უახლოვდებოდა მურმანსკის რკინიგზას, საზღვარი გადაწეულ იქნა. საბჭოთა კავშირის ხელში გადმოვიდა ჩრდილოეთით სრედნისა და რიბაჩის ნახევარკუნძულების პატარა ნაწილები, რომლებიც ფინეთს ეკუთვნოდა, ხოლო ფინეთის ყურეში—კუნძულების განსაზღვრული ჯგუფი ჰოგლანდის კუნძულთან ერთად. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის ხელში, იჯარის წესით, საბჭოთა კავშირის მიერ ყოველწლიურად 8 მილიონი ფინური მარკის გადახდის პირობით, 30 წლის ვადით გადმოვიდა ხანკოს ნახევარკუნძული მის ახლომახლო მდებარე კუნძულებითურთ, სადაც აგებულ იქნება ჩვენი სამხედრო - საზღვაო ბაზა აგრესიისაგან ფინეთის ყურის შესასვლელის დასაცავად. გარდა ამისა, ხელშეკრულება აადვილებს შვეციის, ნორვეგიისა და საბჭოთა კავშირისათვის საქონლის ტრანზიტის შესაძლებლობას. ამასთან ერთად, საზავო ხელშეკრულება ითვალისწინებს ურთიერთ თავშეკავებას ერთმანეთზე ყოველგვარი თავდასხმისაგან და ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარისადმი მტრულ კოალიციებში მონაწილეობის მიუღებლობას.

ინგლისურ და ფრანგულ პრესაში ცდილობდნენ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ხელშეკრულება და, კერძოდ, საბჭოთა კავშირის ხელში კარელიის ყელის გადმოსვლა დაეხატათ, როგორც ფინეთის დამოუკიდებლობის „მოსპობა“. ეს, რა თქმა უნდა, უგუნურობა და უაზრო ლაყბობაა! ფინეთს ახლაც აქვს თითქმის ერთი-ოთხად მეტი ტერიტორია, ვიდრე უნგრეთს, რვაჯერ და უფრო მეტი ტერიტორია, ვიდრე შვეიცარიას. თუ არავის შესდის ეჭვი იმაში, რომ უნგრეთი და შვეიცარია დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენენ, როგორ შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, რომ ფინეთი დამოუკიდებელი და სუვერენულია?

იმავე ინგლისურ და ფრანგულ პრესაში სწერდნენ, საბჭოთა კავშირს თითქოს სურდეს ფინეთის მხოლოდლა ბალტიის სახელმწიფოდ გადაქცევა. რა თქმა უნდა, ესეც სისულელეა. საკმარისია აღინიშნოს, რომ სსრ კავშირმა, დაიკავა რა ომის დროს ყინულოვანი ოკეანის მომიჯნავე რაიონი პეტსამო, ნებაყოფლობით კვლავ დაუბრუნა ეს რაიონი ფინეთს, რადგან მას საჭიროდ მიაჩნდა მიეცა ფინეთისათვის ოკეანის უყინვადი ნავსადგური. აქედან სჩანს, რომ ჩვენ ფინეთი მიგვაჩნია არა მარტო ბალტიის, არამედ ჩრდილოეთის ქვეყნადაც.

სიმართლეს შეიცავს არა ეს ჭორები ინგლის-საფრანგეთის გაზეთებისა, რომლებსაც გაწაფული აქვთ ხელი ანტისაბჭოთა პროპაგანდის ყოველგვარ ნაყალბევში, სიმართლეს სულ სხვა რამ შეიცავს, სახელდობრ ის, რომ საბჭოთა კავშირმა, რომელმაც ფინეთის არმია დაამარცხა და რომელსაც სრული შესაძლებლობა ჰქონდა დაეკავებინა მთელი ფინეთი, არ მოისურვა ეს და არ მოითხოვა არავითარი კონტრიბუცია თავისი სამხედრო ხარჯების ასანაზღაურებლად, როგორც ამას ყველა სხვა სახელმწიფო მოიმოქმედებდა, არამედ თავისი სურვილები მინიმუმით განსაზღვრა და სულგრძელობა გამოიჩინა ფინეთის მიმართ.

რაში მდგომარეობს საზავო ხელშეკრულების ძირითადი აზრი? იმაში, რომ იგი ჯეროვანად უზრუნველჰყოფს ლენინგრადის, აგრეთვე მურმანსკისა და მურმანსკის გზის უშიშროებას. ამჯერად ჩვენ არ შეგვეძლო დავკმაყოფილებულიყავით მხოლოდ იმ სურვილებით, რომლებიც ჩვენ გასული წლის შემოდგომაზე წამოვაყენეთ და რომელთა მიღება ფინეთის მიერ ომის თავიდან აცილებას მოასწავებდა. მას შემდეგ, რაც ჩვენი მებრძოლების სისხლი დაიღვარა—არა ჩვენი მიზეზით—და რაც ჩვენ დავრწმუნდით, თუ რამდენად შორს წავიდა ფინეთის მთავრობის მტრული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ, ჩვენ ლენინგრადის უშიშროების საკითხი უფრო საიმედო საფუძველზე უნდა დაგვეყენებინა და, ამას გარდა, უნდა დაგვეყენებინა საკითხი მურმანსკის რკინიგზისა და მურმანსკის უშიშროების შესახებ, მურმანსკისა, რომელიც წარმოადგენს ჩვენს ერთადერთ უყინვად საოკეანო ნავსადგურს დასავლეთში და რომელსაც ამიტომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საგარეო ვაჭრობისათვის და საერთოდ სხვა ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობისათვის. საზავო ხელშეკრულებაში ჩვენ არ ვისახავდით არავითარ სხვა მიზნებს, გარდა ლენინგრადის, მურმანსკისა და მურმანსკის რკინიგზის უშიშროების უზრუნველყოფისა. მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა საიმედოდ, მტკიცედ გადაგვეჭრა ეს ამოცანა. საზავო ხელშეკრულება გამომდინარეობს ფინეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პრინციპის აღიარებიდან, მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის დამოუკიდებლობის აღიარებიდან და, ამასთან ერთად, ლენინგრადისა და საბჭოთა კავშირის ჩრდილო-დასავლეთის საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფის აუცილებლობიდან.

ამგვარად, ჩვენს მიერ დასახული მიზანი მიღწეულია და ჩვენ შეგვიძლია სრული კმაყოფილება გამოვთქვათ ფინეთთან დადებული ხელშეკრულებით. **(ტაში)**.

ამიერიდან პოლიტიკური და სამეურნეო ურთიერთობა ფინეთთან სავსებით იქნება აღდგენილი. მთავრობა გამოსთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის განვითარდება ნორმალური კეთილმეზობლური ურთიერთობა.

მაგრამ საჭიროა გამოვთქვათ გაფრთხილება ახლახან დადებული საზავო ხელშეკრულების დარღვევის ცდების წინააღმდეგ, რასაც უკვე მიმართავენ ფინეთის, აგრეთვე შვეციისა და ნორვეგიის ზოგიერთი წრეები მათს შორის სამხედრო-თავდაცვითი კავშირის შექმნის საბაბით. იმ სიტყვის მიხედვით, რაც ამასწინათ წარმოსთქვა ნორვეგიის სტორტინგის თავმჯდომარემ ბ-ნ ჰამბრომ, რომელიც მოუწოდებდა ფინეთს, ისტორიულ მაგალითებზე მითითებით, „ქვეყნის საზღვრების უკანვე დაბრუნებისაკენ“, და რომელიც აცხადებდა, რომ ისეთ ზავს, როგორიც ფინეთსა და სსრ კავშირს შორის არის დადებული, „დიდ ხანს არსებობა არ შეუძლიაო“, ამ და სხვა ასეთი გამოსვლების მიხედვით ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ფინეთის, შვეციისა და ნორვეგიის ეგრეთწოდებული „თავდაცვითი კავშირის“ შექმნის ცდა მიმართულია სსრ კავშირის წინააღმდეგ და მას უგუნურად აღვივებენ სამხედრო რევანშის იდეოლოგიით. ასეთი სამხედრო კავშირის შექმნა ფინეთის მონაწილეობით არა მარტო წინააღმდეგი იქნებოდა საზავო ხელშეკრულების მე-3 მუხლისა, რომელიც გამორიცხავს ხელშეკრულების დამდებ მხარეთა მონაწილეობას ერთმანეთისადმი მტრულ კოალიციებში (კავშირებში), არამედ წინააღმდეგი იქნებოდა მთელი საზავო ხელშეკრულებისა, რომელმაც მტკიცედ დააწესა საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვარი. ამ ხელშეკრულების მტკიცედ დაცვა შეუთავსებელია ფინეთის მონაწილეობასთან სსრ კავშირის წინააღმდეგ რაიმე სამხედრო-რევანშისტულ კავშირში. შვეციისა და ნორვეგიის მონაწილეობა კი ასეთ კავშირში იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ეს ქვეყნები ხელს იღებენ ნეიტრალიტეტის იმ პოლიტიკაზე, რომელსაც ისინი ატარებენ, და გადადიან ახალ საგარეო პოლიტიკაზე, რომლიდანაც საბჭოთა კავშირს არ შეეძლებოდა თავისი სათანადო დასკვნები არ გამოეტანა.

თავის მხრივ, მთავრობა ფიქრობს, რომ შვეციასა და ნორვეგიასთან სადავო საკითხები საბჭოთა კავშირს არ მოეპოვება და რომ საბჭოთა კავშირ-შვეციისა და საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის ურთიერთობა მეგობრობის საფუძველზე უნდა ვითარდებოდეს. ხოლო ანტისაბჭოთა მიზნით რომ ხმებს ავრცელებდნენ იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირი სკანდინავიის დასავლეთ სანაპიროს ნავსადგურებს მოითხოვდეს, ნარვიკზე პრეტენზიას აცხადებდეს და სხვ.,—ისეთი უგუნურებაა, რომ ამას უარყოფაც კი არ ესაჭიროება. შვეციელი ჰეგლუნდისა და ნორვეგიელი ტრანმელის მსგავსი ბატონი „სოციალისტების“ მეცადინეობა კი, რომ გაეფუჭებინათ ამ ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, დაგმობილ უნდა იქნას როგორც მუშათა კლასის იმ უბოროტესი მტრების საქმე, რომლებიც მოსყიდული არიან უცხოელი კაპიტალისტების მიერ და რომლებიც ღალატობენ თავიანთი ხალხის ინტერესებს.

ფინეთთან საზავო ხელშეკრულების დადება აგვირგვინებს ბალტიის ზღვის მხრით საბჭოთა კავშირის უშიშროების უზრუნველსაყოფად შარშან დასახული ამოცანის შესრულებას. ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ურთიერთდახმარების შესახებ ესტონეთთან, ლატვიასა და ლიტვასთან დადებული სამი ხელშეკრულების აუცილებელ დამატებას. ურთიერთდახმარების შესახებ ამ ხელშეკრულებათა დადების დროიდან გასული ნახევარი წლის გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია სრულიად გარკვეული დადებითი დასკვნები გამოვიტანოთ ბალტიისპირა ქვეყნებთან დადებულ ხელშეკრულებათა შესახებ. უნდა აღვიაროთ, რომ ესტონეთთან, ლატვიასა და ლიტვასთან საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებებმა ხელი შეუწყეს როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირისადმი მტრული იმპერიალისტური წრეები ესტონეთს, ლატვიასა და ლიტვას აშინებდნენ, ამ ქვეყნების სახელმწიფო დამოუკიდებლობასა და პოლიტიკის თავისთავადობას არავითარი ზიანი არ მოსვლია, ხოლო ამ ქვეყნების სამეურნეო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან თვალსაჩინოდ გაფართოვდა. ესტონეთსა, ლატვიასა და ლიტვასთან დადებულ ხელშეკრულებათა შესრულება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს და საბჭოთა კავშირსა და ამ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების წანამძღვრებს ჰქმნის.

ამ უკანასკნელ დროს უცხოეთის პრესაში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა საკითხს საბჭოთა კავშირის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ მის სამხრეთით მოსაზღვრე მეზობლებთან, კერძოდ ამიერკავკასიის მოსაზღვრე მეზობლებთან, აგრეთვე რუმინეთთან. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ მთავრობა არავითარ საფუძველს არ ხედავს ჩვენს სამხრეთელ მეზობლებთანაც ურთიერთობის გაუარესებისათვის. მართალია, ამჟამად სირიაში და საერთოდ ახლო აღმოსავლეთში დიდი საეჭვო ჯახირია იმისათვის, რომ შეჰქმნან ინგლის-საფრანგეთის არმიები, უმთავრესად კოლონიური არმიები გენერალ ვეიგანის მეთაურობით. ჩვენ ფხიზელნი უნდა ვიყოთ ამ კოლონიური და არაკოლონიური ჯარების საბჭოთა კავშირისადმი მტრული მიზნებით გამოყენების ცდებისადმი. ყოველგვარი ასეთი ცდა ჩვენი მხრით საპასუხო ზომებს გამოიწვევდა აგრესორების წინააღმდეგ, ამასთან ცეცხლთან ასეთი თამაშის საფრთხე სავსებით ცხადი უნდა იყოს სსრ კავშირისადმი მტრული სახელმწიფოებისათვის და იმ ჩვენი მეზობლებისათვის, ვინც სსრ კავშირის წინააღმდეგ ამ აგრესიული პოლიტიკის იარაღი აღმოჩნდებოდა. **(ტაში)**. რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას თურქეთთან და ირანთან, ამ ურთიერთობას განსაზღვრავს თავდაუსხმელობის შესახებ ჩვენს შორის დადებული ხელშეკრულებები, და საბჭოთა კავშირის განუხრელი მისწრაფება—შეასრულოს აქედან გამომდინარე ურთიერთვალდებულებანი. ჩვენი ურთიერთობა ირანთან სამეურნეო დარგში მოწესრიგებულ იქნა საბჭოთა კავშირ-ირანის სავაჭრო ხელშეკრულებით, რომელიც ახლახან დაიდო.

ჩემს მიერ მოხსენიებული სამხრეთელი მეზობელი სახელმწიფოებიდან ჩვენ არა გვაქვს თავდაუსხმელობის პაქტი რუმინეთთან. ეს იმით აიხსნება, რომ არსებობს გადაუჭრელი სადავო საკითხი, საკითხი ბესარაბიისა, რომლის დაპყრობას რუმინეთის მიერ საბჭოთა კავშირი არასოდეს არა სცნობდა, თუმცა მას არასოდეს არ დაუყენებია საკითხი ომის გზით ბესარაბიის დაბრუნებისა. ამიტომ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობის რაიმე გაუარესებისათვისაც არავითარი საფუძველი არ არსებობს. მართალია, ჩვენ დიდი ხანია რუმინეთში არა გვყავს სრულუფლებიანი წარმომადგენელი და მის მოვალეობას საქმეთა რწმუნებული ასრულებს, მაგრამ ეს ახლო წარსულის სპეციფიკური გარემოებებით არის გამოწვეული. თუ ამ საკითხს შევეხეთ, საჭირო გახდება გავიხსენოთ ის საძრახისი როლი, რომელიც 1938 წელს შეასრულეს რუმინეთის ხელისუფალთ იმ დროს რუმინეთში საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლის თანამდებობის აღმასრულებლის — ბუტენკოს მიმართ. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი მაშინ როგორღაც უცნაურად გაჰქრა არა მარტო სრულუფლებიანი წარმომადგენლობიდან, არამედ რუმინეთიდანაც, და საბჭოთა მთავრობამ ვერ შესძლო და ვერა დანამდვილებით გაეგო რაიმე ამ გაქრობის შესახებ. ამასთან ჩვენ თითქოს უნდა დავიჯეროთ, რომ რუმინეთის არავითარ ხელისუფალთ არ ჰქონდათ დამოკიდებულება ამ სასკანდალო-დანაშაულებრივ საქმესთან. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ცივილიზებულ სახელმწიფოში, და საერთოდ ოდნავ მაინც კეთილმოწყობილ ქვეყანაში, ასეთ რამეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ამის შემდეგ გასაგებია, თუ რისთვის გაჭიანურდა საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლის დანიშვნა რუმინეთში. მაგრამ ამავე დროს უნდა ვიფიქროთ, რომ რუმინეთი გაიგებს, რომ ასეთი რამეების მოთმენა შეუძლებელია.

იაპონიასთან ურთიერთობაში ჩვენ, თუმცა ერთგვარი სიძნელეებით, მაგრამ მაინც გადავჭერით ზოგიერთი საკითხი. ამას მოწმობს გასული წლის 31 დეკემბერს დადებული საბჭოთა კავშირ-იაპონიის შეთანხმება თევზჭერის საკითხზე მიმდინარე წლისათვის, აგრეთვე იაპონიის თანხმობა გადაიხადოს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის საფასურის უკანასკნელი ფულადი შესატანი, რასაც იგი დიდი ხანია აგვიანებდა. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება დიდი კმაყოფილება გამოვთქვათ იაპონიასთან ჩვენი ურთიერთობით. მაგალითად, საბჭოთა კავშირ-მონღოლეთისა და იაპონია-მანჯურიის დელეგატთა ხანგრძლივი მოლაპარაკების მიუხედავად, დღემდე გადაუჭრელი დარჩა მნიშვნელოვანი საკითხი გასულ წელს მომხდარი სამხედრო კონფლიქტის რაიონში მდებარე ტერიტორიის ნაწილზე საზღვრის დაწესების შესახებ. იაპონიის ხელისუფალნი კვლავ უქმნიან დაბრკოლებებს იმას, რომ ნორმალურად იქნას გამოყენებული აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის საფასურის უკანასკნელი ფულადი შენატანი, რაც იაპონიამ გადაიხადა. ბევრ შემთხვევაში სრულიად არანორმალურია იაპონიის ხელისუფალთა დამოკიდებულება საბჭოთა ორგანოების თანამშრომლებთან იაპონიასა და მანჯურიაში. იაპონიაში, ბოლოსდაბოლოს, უნდა შეიგნონ, რომ საბჭოთა კავშირი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს მისი ინტერესების დარღვევას. **(ხანგრძლივი ტაში)**. საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობათა მხოლოდ ასეთი გაგების დროს შეიძლება დამაკმაყოფილებლად განვითარდეს ეს ურთიერთობანი.

იაპონიასთან დაკავშირებით, ორიოდე სიტყვას ვიტყვი ერთს, ასე ვთქვათ, არასაქმიან საკითხზე. **(მხიარული გამოცოცხლება დარბაზში)**. ამ დღეებში იაპონიის პარლამენტის ერთერთმა დეპუტატმა თავის მთავრობას ასეთი შეკითხვა მისცა: „საჭირო ხომ არ იქნება მოვიფიქროთ, თუ როგორ მოვუღოთ ძირფესვიანად ბოლო კონფლიქტებს სსრ კავშირსა და იაპონიას შორის, მაგალითად, პრიმორიესა და სხვა ტერიტორიების შესყიდვის საშუალებით“ **(ძლიერი სიცილი)**. ამ შეკითხვის შემტანი იაპონელი დეპუტატი, რომელიც დაინტერესებულია შეისყიდოს საბჭოთა ტერიტორიები, რომლებიც არ იყიდება **(სიცილი)**, მეტი რომ არა ვთქვათ, მხიარული კაცია. **(სიცილი, ტაში)**. მაგრამ თავისი სულელური შეკითხვებით იგი, ჩემი აზრით, ვერ ამაღლებს თავისი პარლამენტის ავტორიტეტს. **(სიცილი)**. მაგრამ, თუ იაპონიის პარლამენტში ასე ძლიერ არიან გატაცებული ვაჭრობით, უმჯობესი ხომ არ იქნება ამ პარლამენტის დეპუტატები შეუდგნენ სამხრეთ სახალინის გაყიდვას. **(სიცილი, ხანგრძლივი ტაში)**. მე ეჭვი არ მეპარება, რომ სსრ კავშირში აღმოჩნდებოდნენ მყიდველები **(სიცილი, ტაში)**.

რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ეს ურთიერთობა უკანასკნელ დროს არ გაუმჯობესებულა და, კაცმა რომ სთქვას, არც გაუარესებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სსრ კავშირის წინააღმდეგ ეგრეთწოდებულ „მორალურ ემბარგოს“, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ აზრს განსაკუთრებით სსრ კავშირსა და ფინეთს შორის ზავის დადების შემდეგ. ჩვენი იმპორტი ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გასულ წელთან შედარებით, გადიდდა. იგი შეიძლებოდა კიდევ უფრო გადიდებულიყო, ამერიკის ხელისუფალთ რომ არ შეექმნათ დაბრკოლებანი.

ასეთია მთლიანად საერთაშორისო ვითარება უკანასკნელი ხუთი თვის პერიოდის ამბებთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემონათქვამიდან სჩანს, თუ რაში ვხედავთ ჩვენ ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარ ამოცანებს ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი საგარეო პოლიტიკის ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველვყოთ ხალხებს შორის მშვიდობიანობა და ჩვენი ქვეყნის უშიშროება. აქედან დასკვნას წარმოადგენს ნეიტრალიტეტის პოზიცია და მონაწილეობის მიუღებლობა ევროპის უდიდეს სახელმწიფოებს შორის წარმოიბულ ომში. ეს პოზიცია ემყარება ჩვენს მიერ დადებულ ხელშეკრულებებს და იგი სავსებით შეეფერება საბჭოთა კავშირის ინტერესებს. ამასთან ერთად ეს პოზიცია შემაკავებელ გავლენას ახდენს ევროპაში წარმოებული ომის გაფართოებასა და გაღვივებაზე და ამიტომ იგი შეეფერება ინტერესებს ყველა ხალხისას, რომლებიც მშვიდობიანობისაკენ მიისწრაფიან და რომლებიც უკვე ჰგმინავენ ომით გამოწვეული ახალი უდიდესი გაჭირვების გამო.

ვაჯამებთ რა უკანასკნელი პერიოდის შედეგებს, ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში ამ დროის მანძილზე ჩვენ მცირე წარმატებებს როდი მივაღწიეთ. სწორედ ეს აცოფებს ჩვენს მტრებს. ჩვენ კი, ჩვენს საქმესა და ჩვენს ძალებში დარწმუნებულნი, შემდეგშიც მთელი თანამიმდევრობით განუხრელად განვაგრძობთ ჩვენს საგარეო პოლიტიკას.

(მთელი დარბაზის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. დეპუტატები ფეხზე დგებიან).

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1940 წლის 29 მარტის სხდომის შესახებ

გუშინ, 29 მარტს, დღის 2 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, გაიხსნა კავშირის საბჭოს მეექვსე სესია.

სესიას ხსნის კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი**.

ამხანაგი **ა. ა. ანდრეევი** სიტყვას აძლევს დეპუტატ **ა. მ. ალემასოვს**. დეპუტატი **ალემასოვი** აუწყებს სესიას, რომ უზბეკეთის სს რესპუბლიკის დეპუტატებმა დასვეს საკითხი იმის შესახებ, რომ **სეგიზბაევი** განთავისუფლებულ იქნას კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ამჟამად არ მუშაობს უზბეკეთის სს რესპუბლიკაში. კავშირის საბჭოს უხუცესთა საბჭოს სახელით დეპუტატ **ალემასოვს** წინადადება შეაქვს განთავისუფლებულ იქნას **სეგიზბაევი** კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან და კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას დეპუტატი **უსმან იუსუფოვი**.

კავშირის საბჭო ერთხმად იღებს დეპუტატ **ალემასოვის** მიერ შეტანილ წინადადებას.

ამხ. ანდრეევის მიწვევით დეპუტატი **უსმან იუსუფოვი** იკავებს ადგილს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მაგიდასთან.

ამხანაგი **ანდრეევი** აცხადებს, რომ სესიაზე ჩამოვიდნენ კავშირის საბჭოს დეპუტატები, რომელნიც არჩეული არიან უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთ ოლქებიდან და სიტყვას აძლევს დეპუტატ **ა. ს. შჩერბაკოვს** კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენებისათვის.

ამხ. შჩერბაკოვი აქვეყნებს კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის დადგენილებას კავშირის საბჭოს იმ დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგთა შესახებ, რომელნიც არჩეული არიან უკრაინის სს რესპუბლიკის და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთ ოლქებიდან.

„შეამოწმა რა ყველა საარჩევნო დოკუმენტი ცალ-ცალკე თვითეულ დეპუტატზე და უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთ ოლქებიდან კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ წარმოდგენილი ყველა მასალა, კავშირის საბჭოს სამანდატო კომისია აღნიშნავს:

1) კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნები უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთი ოლქების 43-ვე საარჩევნო ოლქში ჩატარებულია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ საფუძველზე და სრული შესაბამისობით.

2) არ არის არავითარი საფუძველი არჩევნების გაუქმებისათვის, აგრეთვე არავითარი საჩივარი და განცხადება იმის შესახებ, რომ რომელიმე საარჩევნო ოლქში დარღვეულ იქნა სსრ კავშირის კონსტიტუცია და არჩევნების დებულება უკრაინის სს რესპუბლიკის და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთ ოლქებიდან კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დროს.

მოხსენებულის საფუძველზე კავშირის საბჭოს სამანდატო კომისია სცნობს კავშირის საბჭოს ყველა იმ დეპუტატის რწმუნებათა სისწორეს, რომელნიც არჩეული არიან უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთ ოლქებიდან და რომელთა სიაც გამოქვეყნებულია „იზვესტიას“ 1940 წლის 28 მარტის № 72-ში“.

დეპუტატ **ვ. ვ. ვერენდიაკინის** წინადადებით კავშირის საბჭო შემდეგს დადგენილებას იღებს სამანდატო კომისიის მოხსენების გამო:

„დამტკიცდეს სამანდატო კომისიის მოხსენება კავშირის საბჭოს იმ დეპუტატების რწმუნებათა სწორად ცნობის შესახებ, რომელნიც არჩეულნი არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთი ოლქების 43-ვე საარჩევნო ოლქში“.

კავშირის საბჭოს სახელით ამხ. **ანდრეევი** ტაშის გრიალსა და ოვაციებში მიესალმება ახალ ამხანაგებს—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქების ხალხის რჩეულთ.

ამის შემდეგ კავშირის საბჭო იწყებს სესიის დღის წესრიგის დადგენას.

ამხანაგი **ანდრეევი** აქვეყნებს კავშირის საბჭოს მეექვსე სესიის განსახილველად შეტანილ საკითხთა სიას.

დეპუტატი **ა. ს. ფიროუზიანი** წინადადებას იძლევა კავშირის საბჭოს განსახილველად წარმოდგენილი საკითხები შეტანილ იქნას კავშირის საბჭოს მეექვსე სესიის დღის წესრიგში.

კავშირის საბჭო ერთხმად ამტკიცებს შემდეგს დღის წესრიგს:

1. მოხსენება მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ.
2. კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გარდაქმნა მოკავშირე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

შემოაქვს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს.

3. სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და დამტკიცება ანგარიშისა სსრ კავშირის 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

შემოაქვს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს.

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია სესიიდან სესიამდე გასულ პერიოდში და რომლებიც უნდა დამტკიცებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ.

დეპუტატ **გ. გ. კუზნეცოვის** წინადადებით კავშირის საბჭოს გამოაქვს დადგენილება: მოხსენება მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ და სესიის დღის წესრიგის მეორე საკითხი—კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოკავშირე კარელია - ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ მოსმენილ და განხილულ იქნას ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე; მოხსენება სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოსმენილ იქნას აგრეთვე ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე; საბიუჯეტო კომისიათა თანამოხსენებანი, სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა და გადაწყვეტილებათა მიღება მოხდეს პალატათა ცალ-ცალკე სხდომებზე; სწორედ ასევე სესიის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი მოსმენილ და განხილულ იქნას პალატების მიხედვით.

ამით მთავრდება კავშირის საბჭოს მეექვსე სესიის პირველი სხდომა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის სხდომების შესახებ

31 მარტს, საღამოს 6 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგება კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს შეერთებული სხდომა.

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს 1940 წლის 29 მარტის სხდომის შესახებ

გუშინ, 29 მარტს, დღის 4 საათზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს მეექვსე სესია.

სესიას ხსნის ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი**.

ამხანაგი **ნ. მ. შვერნიკი** სიტყვას აძლევს დეპუტატ **მ. ტ. იაკუბოვს**. ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოს სახელით დეპუტატ იაკუბოვს შეაქვს წინადადება განთავისუფლებულ იქნას ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან დეპუტატი ლევიცკი, ვინაიდან იგი სამუშაოდ გადავიდა ბელორუსიის სს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას დეპუტატი **მ. ვ. კულაგინი**.

ეროვნებათა საბჭო ერთხმად იღებს დეპუტატ იაკუბოვის მიერ შეტანილ წინადადებას.

ამხ. **შვერნიკის** მიწვევით დეპუტატი **კულაგინი** იკავებს ადგილს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მაგიდასთან.

ამხანაგი **შვერნიკი** აცხადებს, რომ სესიაზე ჩამოვიდნენ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატები, რომელნიც არჩეული არიან უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთ ოლქებიდან და ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს დეპუტატ **მ. ა. ბურმისტენკოს**.

ამხ. **ბურმისტენკო** აქვეყნებს ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის დადგენილებას ეროვნებათა საბჭოს იმ დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგთა შესახებ, რომელნიც არჩეული არიან უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთ ოლქებიდან.

„შემოწმა რა ყველა საარჩევნო დოკუმენტი ცალ-ცალკე თვითეულ დეპუტატზე და უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთ ოლქებიდან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ წარმოდგენილი ყველა მასალა, ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისია აღნიშნავს:

1. ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა არჩევნები უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთი ოლქების 12-ვე საარჩევნო ოლქში ჩატარებულია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" საფუძველზე და სრული შესაბამისობით.

2. არ არის არავითარი საფუძველი არჩევნების გაუქმებისათვის, აგრეთვე არავითარი საჩივარი და განცხადება იმის შესახებ, რომ რომელიმე საარჩევნო ოლქში დარღვეულ იქნა სსრ კავშირის კონსტიტუცია და არჩევნების დებულება უკრაინის სს რესპუბლიკის და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთ ოლქებიდან ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დროს.

მოხსენებულის საფუძველზე ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისია სცნობს ეროვნებათა საბჭოს ყველა იმ დეპუტატის რწმუნებათა სისწორეს, რომელნიც არჩეული არიან უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთ ოლქებიდან და რომელთა სიაც გამოქვეყნებულია გაზეთ „იზვესტიის" 1940 წლის 28 მარტის № 72-ში".

ეროვნებათა საბჭო დეპუტატ **ა. ი. გეკმანის** წინადადებით შემდეგ დადგენილებას იღებს სამანდატო კომისიის მოხსენების გამო:

„დამტკიცდეს სამანდატო კომისიის მოხსენება ეროვნებათა საბჭოს იმ დეპუტატების რწმუნებათა სწორად ცნობის შესახებ, რომელნიც არჩეული არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთი ოლქების 12-ვე საარჩევნო ოლქში".

ეროვნებათა საბჭოს სახელით ამხ. **შვერნიკი**, ტაშის გრიალსა და ოვაციაში, მიესალმება ახალ ამხანაგებს—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქების ხალხის რჩეულთ.

ამის შემდეგ ეროვნებათა საბჭო იწყებს სესიის დღის წესრიგის დადგენას.

ამხანაგი **შვერნიკი** აქვეყნებს ეროვნებათა საბჭოს მეექვსე სესიის განსახილველად შეტანილ საკითხთა სიას.

დეპუტატი **მ. ი. იბრაიმოვი** წინადადებას იძლევა ეროვნებათა საბჭოს განსახილველად წარმოდგენილი საკითხები შეტანილ იქნას ეროვნებათა საბჭოს მეექვსე სესიის დღის წესრიგში.

ეროვნებათა საბჭო ერთხმად ამტკიცებს შემდეგს დღის წესრიგს:

1. მოხსენება მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

2. კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გარდაქმნა მოკავშირე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

შემოაქვს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს.

3. სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და დამტკიცება ანგარიშისა სსრ კავშირის 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

შემოაქვს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს.

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია სესიიდან სესიამდე გასულ პერიოდში და რომლებიც უნდა დამტკიცებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ.

დეპუტატ **ტ. ა. კონსტანტინოვის** წინადადებით ეროვნებათა საბჭოს გამოაქვს დადგენილება: მოხსენება მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ და სესიის დღის წესრიგის მეორე საკითხი—კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოკავშირე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ მოსმენილ და განხილულ იქნას ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე; მოხსენება სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოსმენილ იქნას აგრეთვე ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე; საბიუჯეტო კომისიათა თანამოხსენებანი, სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა და გადაწყვეტილებათა მიღება მოხდეს პალატათა ცალ-ცალკე სხდომებზე; ასევე სესიის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი მოსმენილ და განხილულ იქნას პალატებში ცალ-ცალკე.

ამით დამთავრდა ეროვნებათა საბჭოს მეექვსე სესიის პირველი სხდომა.

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1940 წლის 29 მარტის გაერთიანებული სხდომის შესახებ

გუშინ, 29 მარტს, საღამოს 7 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს პირველი გაერთიანებული სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე — დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი**.

სხდომის გახსნის წინ ამხანაგ **ა. ა. ანდრეევის** წინადადებით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა წითელი არმიის იმ მებრძოლთა ხსოვნას, რომელნიც დაიღუპნენ თეთრ ფინელებთან ბრძოლებში და სიცოცხლე შესწირეს თავიანთი სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფის საქმეს.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იწყებს სესიის დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვას.

მოხსენება მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ გააკეთა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხანაგმა **ვ. მ. მოლოტოვმა**, რომელსაც ხანგრძლივი, მქუხარე ოვაციით შეხვდნენ.

ამხ. მოლოტოვის მოხსენების დამთავრების შემდეგ დეპუტატ **მ. დ. ბაგიროვს** შეაქვს წინადადება: იმის გამო, რომ სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკა ამომწურავად ნათელი და თანმიმდევრობითია—კამათი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო არ გაიხსნას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ერთხმად იღებს ამ წინადადებას.

შემდეგ დეპუტატ **ბაგიროვის** წინადადებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო პალატების მიხედვით ცალ-ცალკე კენჭისყრით ერთხმად იღებს შემდეგ დადგენილებას:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო, მოისმინა რა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის** მოხსენება მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ, **ადგენს:**

მოწონებულ იქნას მთავრობის საგარეო პოლიტიკა".

ამით მთავრდება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს პირველი გაერთიანებული სხდომა.

კავშირის საბჭოში

გუშინ, 29 მარტს, კრემლში გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია. 14 საათისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზი კრემლის დიდ სასახლეში კავშირის საბჭოს დეპუტატებით გაივსო. სესიას ესწრებიან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. საბჭოთა და უცხოეთის პრესის ლოჟები გავსებულია. ესწრება მრავალი სტუმარი — მოსკოვის ფაბრიკებისა და ქარხნების, დედაქალაქის ინტელიგენციის, მოსკოვის სამხედრო ოლქის ნაწილების წარმომადგენლები.

თავმჯდომარის მაგიდასთან გამოჩნდებიან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი** და თავმჯდომარის მოადგილე — დეპუტატი **ტ. დ. ლისენკო**, ხოლო ლოჟებში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მთავრობის წევრები სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. **ვ. მ. მოლოტოვის** მეთაურობით. მათ გამოჩენას მქუხარე ოვაციით ხვდებიან.

სესიას ხსნის კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ანდრეევი**. იგი სიტყვას აძლევს დეპუტატ **ა. მ. ალიმასოვს**.

დეპუტატი ალიმასოვი აცხადებს, რომ უზბეკეთის სს რესპუბლიკის დეპუტატებმა წამოაყენეს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან სეგიზბაევის განთავისუფლების საკითხი იმის გამო, რომ ამჟამად იგი არ მუშაობს უზბეკეთის სს რესპუბლიკაში. კავშირის საბჭოს უხუცესთა საბჭოს სახელით დეპუტატ ალიმასოვს შეაქვს წინადადება განთავისუფლებულ იქნას სეგიზბაევი კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან და კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას დეპუტატი უსმან იუსუპოვი.

დეპუტატ ალიმასოვის წინადადება მიღებულია ერთხმად. დეპუტატები ტაშით მიესალმებიან კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს დეპუტატ **უსმან იუსუპოვს**, რომელიც ადგილს იკავებს თავმჯდომარის მაგიდასთან.

შემდეგ მოხსენებით გამოდის კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ს. შჩერბაკოვი**. იგი აქვეყნებს იმ ახალი დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგებს, რომლებიც უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთი ოლქებიდან კავშირის საბჭოში არიან არჩეული.

— წარსულ, მეხუთე სესიაზე, — ამბობს ამხ. შჩერბაკოვი, — სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დააკმაყოფილა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრებების თხოვნა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის შეყვანის შესახებ მათი შეერთებით უკრაინის სს რესპუბლიკასთან და ბელორუსიის სს რესპუბლიკასთან. აღსრულდა დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა საუკუნეობრივი ოცნება თვისტომ ძმებთან—უკრაინელებთან და ბელორუსებთან შეერთების შესახებ. დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელები, პოლონეთის ბურჟუაზიისა და მემამულეთა უღლისაგან განთავისუფლებულნი, შევიდნენ სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში, გახდნენ მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქენი.

1940 წლის 24 მარტს უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთი ოლქების ხალხებმა, სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, პირველად აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავისი დეპუტატები.

ამხ. შჩერბაკოვი აცხადებს, რომ კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიამ შეამოწმა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ კავშირის საბჭოს თვითეულ ახალ დეპუტატზე წარმოდგენილი დოკუმენტები. სამანდატო კომისია აღნიშნავს, რომ კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნები უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთი ოლქების 43-ვე საარჩევნო ოლქში ჩატარებულია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" საფუძველზე და მათის შესაბამისად. არავითარი საბაბი არ არსებობს გავაუქმოთ არჩევნები რომელიმე ოლქში. აგრეთვე არ შემოსულა საჩივრები და განცხადებანი, რომლებიც საეჭვოდ ხდიდნენ კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნებს რომელიმე ოლქში.

აღნიშნა რა, რომ 43 საარჩევნო ოლქში არჩეულია კავშირის საბჭოს 43 დეპუტატი, მომხსენებელმა მოიყვანა საინტერესო ცნობები, რომლებიც ახასიათებენ ახალ დეპუტატთა შემადგენლობას. მათ შორის არიან—19 მუშა, 14 გლეხი და 10 ინტელიგენტი. დეპუტატთაგან ბევრი იჯდა პანების პოლონეთის საპატიმროში, საიდანაც ისინი წითელმა არმიამ გაათავისუფლა. განთავისუფლების შემდეგ მათ გამოიჩინეს თავი, როგორც ენერგიულმა საზოგადო მოღვაწეებმა საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში. დეპუტატთა შორის არიან უკრაინელები, ბელორუსები, პოლონელები და რუსები. ხალხის მიერ არჩეულთა ასეთი შემადგენლობა განასახიერებს ხალხთა სტალინურ თანამეგობრობას. დეპუტატთა შორის არის 11 ქალი (26 პროცენტი). ისინი მამაკაცებთან თანასწორი უფლებებით არიან არჩეულნი სახელმწიფო სამუშაოზე.

დეპუტატი შჩერბაკოვი მკაფიო მაგალითებით ახასიათებს უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთი ოლქების მშრომელთა მაღალ პოლიტიკურ აქტივობას, რაც მათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში გამოიჩინეს. არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 7.894.971 კაცი, რაც ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,09 პროცენტს შეადგენს. მომხსენებელმა მოაგონა, რომ პანების პოლონეთში მშრომელთა მილიონები მოკლებული იყვნენ საარჩევნო უფლებებს. 1935 წელს პოლონეთის სეიმის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო საარჩევნო უფლების მქონე პირთა მხოლოდ 46 პროცენტმა, ზოგ რაიონში კი მხოლოდ — 3 პროცენტმა. გაუქმებული ბიულეტენების რიცხვი 50 პროცენტს აღწევდა.

43-ვე საარჩევნო ოლქში კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 7.743.210 ამომრჩეველმა — კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა 98 პროცენტმა. ხალხის არჩეულთა შორის 32,6 პროცენტი კომუნისტია და 67,4 პროცენტი უპარტიო.

— ეს ციფრები, — აღნიშნავს ამხ. შჩერბაკოვი, — მოწმობენ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის სრულ გამარჯვებას. დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხებმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვნად ხმის მიცემით ერთხელ კიდევ და კიდევ გამოხატეს თავიანთი უსაზღვრო ნდობა ლენინ-სტალინის პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, თავიანთი მხურვალე სიყვარული იმისადმი, ვისაც ჩვენი ქვეყანა საბოლოო გამარჯვებისაკენ, კომუნიზმისაკენ მიჰყავს — ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი.

დეპუტატები და სტუმრები აღტაცებულ, ხანგრძლივ ოვაციას მართავენ ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

დეპუტატ ვ. ვ. ვერენდიაკინის წინადადებით კავშირის საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

— კავშირის საბჭოს სახელით, — ამბობს თავმჯდომარე, დეპუტატი ანდრეევი, — მივესალმები ჩვენს ახალ ამხანაგებს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხის მიერ არჩეულთ.

ამ სიტყვებს ხანგრძლივი ტაში მოჰყვა. დეპუტატები და სტუმრები ოვაციით შეეგებნენ კავშირის საბჭოს ახალ დეპუტატებს, როდესაც ისინი სხდომის დარბაზში გამოჩნდნენ და უკრაინისა და ბელორუსიის სხვა დეპუტატების გვერდით ადგილი დაიკავეს.

თავმჯდომარე, დეპუტატი ანდრეევი იუწყება, რომ მეექვსე სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

2. კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გარდაქმნა მოკავშირე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

3. სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და დამტკიცება ანგარიშისა სსრ კავშირის 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია სესიიდან სესიამდე გასულ პერიოდში და რომლებიც უნდა დამტკიცებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ.

დეპუტატ **ა. ს. ფირუზიანს** შეაქვს წინადადება კავშირის საბჭოს მეექვსე სესიის განსახილველად წარმოდგენილი საკითხები შეტანილ იქნას კავშირის საბჭოს სესიის დღის წესრიგში. ეს წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად.

დეპუტატ **გ. გ. კუზნეცოვის** წინადადებით კავშირის საბჭომ გადასწყვიტა დღის წესრიგის პირველი და მეორე საკითხი განიხილოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე. გადაწყდა გაერთიანებულსავე სხდომაზე იქნას განხილული აგრეთვე მოხსენება სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ეროვნებათა საბჭოში

გუშინ, 29 მარტს, 16 საათზე გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს სხდომა. ესწრებიან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები, მრავალი სტუმარი.

თავმჯდომარის მაგიდასთან გამოჩნდებიან ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი** და თავმჯდომარის მოადგილე — დეპუტატი **ჩ. ა. ასლანოვა**, ხოლო ლოჟებში—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მთავრობის წევრები სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მეთაურობით. დარბაზი მათ მქუხარე ტაშით ეგებება.

სხდომის თავმჯდომარე, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი შვერნიკი სესიას გახსნილად აცხადებს. წინადადებისათვის სიტყვა ეძლევა დეპუტატ **მ. ტ. იაკუბოვს**. უხუცესთა საბჭოს სახელით მას შეაქვს წინადადება — განთავისუფლებულ იქნას ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან დეპუტატი ლევიცკი, ბელორუსიის სს რესპუბლიკის გარეთ სამუშაოდ მისი გადასვლის გამო, და არჩეულ იქნას ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დეპუტატი მ. ვ. კულაგინი. სესია ერთხმად იღებს ამ წინადადებას. დეპუტატი **კულაგინი** იკავებს ადგილს თავმჯდომარის მაგიდასთან, მას ტაშით ხვდებიან.

ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა დეპუტატ **მ. ა. ბურმისტენკოს**. იგი აქვეყნებს ეროვნებათა საბჭოს იმ ახალი დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგებს, რომლებიც არჩეული არიან უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთი ოლქებიდან.

მამაცმა წითელმა არმიამ 6 თვის წინათ გაათავისუფლა დასავლეთი უკრაინისა და დასავლეთი ბელორუსიის ხალხნი პოლონეთის ბურჟუაზიისა და მემამულეთა უღლისაგან. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიაზე დაკმაყოფილებულ იქნა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრებების თხოვნა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში შეყვანისა და უკრაინის სს რესპუბლიკასთან და ბელორუსიის სს რესპუბლიკასთან მათი გაერთიანების შესახებ. დასავლეთი ოლქების მშრომელებმა განახორციელეს თავიანთი დიდი ხნის ოცნება თვისტომ ძმებთან გაერთიანების შესახებ. ახლა ისინი მსოფლიოში მუშათა და გლეხთა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს თანასწორუფლებიანი მოქალაქენი არიან.

დეპუტატი ბურმისტენკო შემდეგ იუწყება, რომ 1940 წლის 24 მარტს უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთი ოლქების მშრომელებმა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის საფუძველზე აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. სამანდატო კომისიამ აღნიშნა, რომ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნები უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის 12-ვე ოლქში ჩატარებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დებულების" საფუძველზე და შესაბამისად. არავითარი საბაბი რომელიმე ოლქში არჩევნების გაუქმებისათვის არ არის, არცერთი ოლქიდან საჩივრები და განცხადებები არ შემოსულა. 12-ვე საარჩევნო ოლქში არჩეულია ეროვნებათა საბჭოს 12 დეპუტატი. მათ შორის — 3 მუშა, 3 გლეხი და 6 ინტელიგენტი. არჩეულ დეპუტატთა შორის 11 მამაკაცია და 1 ქალი. 3 დეპუტატს აქვს უმაღლესი განათლება, 2 დეპუტატს —საშუალო და 7 დეპუტატს—დაბალი განათლება. დეპუტატებს შორის 4 არის საკ. კ. პ. (ბ) წევრი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთის ოლქების მშრომელებმა ცხადჰყვეს უსაზღვრო სიყვარული თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი. კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 7.743.965 კაცმა—კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 98,07 პროცენტმა.

დეპუტატ **ა. ი. გეკმანს** შეაქვს წინადადება დამტკიცებულ იქნას სამანდატო კომისიის მოხსენება. სესია ამ წინადადებას ერთხმად იღებს.

სხდომის თავმჯდომარე, დეპუტატი შვერნიკი ეროვნებათა საბჭოს სახელით მიესალმება უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთი ოლქების ხალხთა არჩეულებს—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახალ დეპუტატებს. როცა უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთი ოლქების დეპუტატები გამოჩნდებიან სხდომის დარბაზში, ყველა დეპუტატი, ერთი გრძნობით შეპყრობილი, მქუხარე ოვაციას უმართავს მათ.

თავმჯდომარე, დეპუტატი შვერნიკი იუწყება, რომ სესიაზე განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

2. კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გარდაქმნა მოკავშირე კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

3. სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და დამტკიცება ანგარიშისა 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია სესიიდან სესიამდე გასულ პერიოდში და რომლებიც უნდა დამტკიცებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ.

დეპუტატ **მ. ი. იბრაიმოვის** წინადადებით ეროვნებათა საბჭო ადგენს — ეს საკითხები შეტანილ იქნას სესიის დღის წესრიგში. შემდეგ ეროვნებათა საბჭო იღებს დეპუტატ **ტ. ა. კონსტანტინოვის** წინადადებას და ადგენს — დღის წესრიგის პირველი და მეორე საკითხი განხილულ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე. გადაწყდა გაერთიანებულ სხდომაზევე მოსმენილ იქნას მოხსენება სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს 29 მარტის გაერთიანებული სხდომა

29 მარტს, საღამოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესია განაგრძობდა თავის მუშაობას. შესდგა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. სხდომის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე კრემლის დიდ სასახლეში უკვე შეიკრიბნენ დეპუტატები და სტუმრები.

19 საათია. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში სტუმრების ადგილები მთლად დაკავებულია. აქ არიან: მოსკოვის საწარმოთა მრავალი სტახანოველი და დამკვრელი, ინტელიგენციის წარმომადგენლები, წითელი არმიის მებრძოლები და მეთაურები. ავსებულია დიპლომატიური კორპუსის ლოჟები. სხდომას დაესწრო საბჭოთა და უცხოეთის პრესის მრავალი კორესპონდენტი.

თავმჯდომარის მაგიდასთან მიდიან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი**, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი — **ნ. მ. შვერნიკი**, კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილენი, დეპუტატები **ტ. დ. ლისენკო, უსმან იუსუფოვი, ჩ. ა. ასლანოვა** და **მ. ვ. კულაგინი**. ლოჟებში ადგილს იკავებენ ამხანაგები: **ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, მ. ი. კალინინი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ჟდანოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. პ. ბერია, გ. მ. მალენკოვი, მ. ფ. შკირიატოვი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. ვიშინსკი, რ. ს. ზემლიაჩკა, ნ. ა. ვოზნესენსკი, ა. ე. ბადაევი, ს. მ. ბუდიონი, ს. კ. ტიმოშენკო**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სახალხო კომისრები.

დეპუტატები და სტუმრები მქუხარე, აღტაცებული ოვაციით მიესალმებიან ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინსა და მის თანამებრძოლთ. ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში რამდენიმე წუთს ისმის მხურვალე ტაშის ცემა. ყოველი კუთხიდან ისმის მძლავრი „ვაშა". სსრ კავშირის ხალხთა ენებზე წარმოსთქვამენ მისალმებას ამხანაგი სტალინის პატივსაცემად.

სხდომის თავმჯდომარეს — კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს დეპუტატ **ა. ა. ანდრეევს** წინადადება შეაქვს პატივი სცენ წითელი არმიის იმ მებრძოლთა ხსოვნას, რომლებიც დაიღუპნენ თეთრფინელებთან ბრძოლაში თავიანთი სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფის საქმისათვის.

დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან. მათი სახით მთელი ჩვენი ქვეყანა თავს იხრის იმ საბჭოთა პატრიოტების ნათელი ხსოვნის წინაშე, რომლებმაც უკვდავი სახელი მოიხვეჭეს და რომლებმაც გმირული წითელი არმიის გამარჯვებათა ისტორიაში დაუვიწყარი ფურცლები ჩასწერეს.

დღის წესრიგშია მოხსენება მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ. სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხანაგ **ვ. მ. მოლოტოვს**.

ამხანაგ მოლოტოვის გამოჩენას ტრიბუნაზე ხანგრძლივი ოვაციით ხვდებიან. დამსწრენი ფეხზე ადგომით მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის მეთაურს და სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელს, ამხანაგ სტალინის ერთგულ თანამებრძოლს.

დამსწრენი განსაკუთრებული ყურადღებით ისმენენ საბჭოთა მთავრობის მოხსენებას იმაზე, თუ როგორ განუხრელად და თანამიმდევრობით ტარდება მშვიდობიანობის სტალინური პოლიტიკა, რაც მიმართულია ხალხთა შორის მეგობრობისა და საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფისაკენ.

ამხანაგ მოლოტოვის მოხსენებას, რომელიც საათზე მეტს გრძელდებოდა, არაერთხელ ხვდებოდნენ ხანგრძლივი ტაშით. ამ ტაშით უმაღლესი საბჭოს დეპუტატები გამოხატავდნენ საბჭოთა მთავრობის ბრძნული საგარეო პოლიტიკის სრულ მოწონებას, წითელი არმიის სიმამაცითა და გმირობით აღფრთოვანებას, 183-მილიონიანი საბჭოთა ხალხის განუხრელ მისწრაფებას თავისი დიადი სოციალისტური სამშობლოს უშიშროების შემდგომი განმტკიცებისაკენ.

სიტყვას იღებს დეპუტატი **მ. დ. ბაგიროვი**. იგი აცხადებს, რომ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ **ვ მ. მოლოტოვის** მოხსენება საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ მთლიანად და სავსებით გამომდინარეობს მშვიდობიანობის თანამიმდევრობითი სტალინური პოლიტიკიდან. საბჭოთა მთავრობას ახალი დიდი წარმატებები აქვს სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების საქმეში. საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა მთლიანად არის მიმართული ომის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, სოციალიზმის დიადი ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფისაკენ, იგი გამოხატავს მთელი ჩვენი ხალხის ნებასა და სურვილს და შეეფერება მთელი მსოფლიოს ხალხთა ინტერესებს.

ორატორი იგონებს იმ წინადადებებს, რომლებითაც საბჭოთა მთავრობა გამოდიოდა თავის დროზე ფინეთის მთავრობასთან მოლაპარაკებისას იმ საარსებო საკითხების მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად, რომლებიც შეეხება სსრ კავშირის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრების უშიშროებას, ლენინგრადის უშიშროებას. საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა ძალისათვის მიემართა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მან ამოსწურა საკითხების მშვიდობიანად გადაჭრის ყველა შესაძლებლობა.

დეპუტატები აღფრთოვანებული ტაშით ხვდებიან ამხ. ბაგიროვის სიტყვებს, რომ ჩვენმა მშობლიურმა წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა წარჩინებით შეასრულეს მთავრობის დავალება. წითელმა არმიამ და წითელმა ფლოტმა უკვდავი სახელი მოიხვეჭეს, მათ დაამტკიცეს, რომ სოციალიზმის ქვეყნის შეიარაღებული ძალებისათვის არ არსებობს მიუვალი, მიუწვდომელი დაბრკოლებანი და სიმაგრეები.

ამხ. ბაგიროვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის შემდგომი განმტკიცება, მისი ძალისა და ძლიერების ამაღლება.

იმის გამო, რომ ამომწურავად ნათელია სსრ კავშირის მთავრობის პოლიტიკა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მთელი მრავალმილიონიანი, მრავალერიანი ხალხის ნებასა და სურვილს გამოხატავს, აცხადებს ამხ. ბაგიროვი, მე წინადადება შემომაქვს არ გაიხსნას კამათი ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო და სესიის დასამტკიცებლად შემომაქვს წინადადება მოწონებულ იქნას მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

თავმჯდომარე ამხ. ანდრეევი კენჭს უყრის დეპუტატ ბაგიროვის წინადადებას. პალატებში ცალცალკე კენჭისყრით ერთხმად არის მიღებული შემდეგი დადგენილება:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო, მოისმინა რა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის მოხსენება მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ, **ადგენს:**

მოწონებულ იქნას მთავრობის საგარეო პოლიტიკა".

ეს დადგენილება მიღებულ იქნა მქუხარე ოვაციით, რომელიც რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. გამოხატავენ რა დიადი საბჭოთა ხალხის ნებასურვილს, დეპუტატები მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას.

შემდეგი გაერთიანებული სხდომა დანიშნულია 31 მარტს 18 საათისათვის. (საკდესი).

საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობა

კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო*

ამხ. გ. ანდღულაძის სიტყვა

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველი

ამხანაგებო! საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ისტორიულ ყრილობაზე მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა თავის გენიალურ მოხსენებაში უდიდესი ამოცანები დასახა შავი მეტალურგიის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. შავი მეტალურგიის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მარგანეცის მრეწველობას. აქედან ცხადია, რომ ჭიათურის რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების წინაშე მესამე ხუთწლედში ფრიად პასუხსაგები ამოცანებია დასმული.

მარგანეცის მრეწველობამ 1938 წლის გეგმა 84,4 პროცენტით შეასრულა, ხოლო 1939 წლის 88 პროცენტით. გეგმის შესრულებაში ასეთი ჩამორჩენა აიხსნება ჩვენი სუსტი და მოუქნელი მუშაობით. ამის შესახებ მკაფიოდ ილაპარაკა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თავის ღრმაშინაარსიან მოხსენებაში. თვითკრიტიკის წესით უნდა აღინიშნოს, რომ ჭიათურის პარტრაიკომი კონკრეტულად არ ხელმძღვანელობდა 1939 წელს მარგანეცის ტრესტს გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში. მიუხედავად ამისა, გეგმის შესრულების მხრივ 1938 წელთან შედარებით 1939 წელს ერთგვარი წინსვლა გვაქვს.

გეგმის შესრულებაში ჩამორჩენა აიხსნება აგრეთვე იმით, რომ ჩვენ შრომის ორგანიზაცია ცუდად გვაქვს დაყენებული, სუსტად სწარმოებს ბრძოლა ციკლური მეთოდის დანერგვისათვის, ადგილი აქვს მუშა-ხელის დენადობას. 1939 წელს სამუშაოზე მიღებულ იქნა 4.551 კაცი. ამავე წელს წავიდა სამუშაოდან 4.833 კაცი.

ამხანაგებო! ჭიათურის და საჩხერის რაიონებს აქვთ ყოველგვარი საშუალება არ შეაფერხონ სოფლის მეურნეობის სამუშაოები და მუშა-ხელი მიაწოდონ მარგანეცის ტრესტს. მაგრამ ეს რატომღაც დღემდე ვერ ხერხდება.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1939 წლის 4 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე ჩვენ დავიწყეთ ციკლური მეთოდით მუშაობა. მაგრამ ამ დარგში ჯერ კიდევ არა გვაქვს დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ცუდად მიმდინარეობს მარგანეცის მრეწველობის რეკონსტრუქცია. ამ საქმეში დახმარება გვესაჭიროება.

ჭიათურის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები რომლებიც მტკიცედ არიან დარაზმულნი ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, ხალხთა ბელადის დიდი სტალინის გარშემო, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ 1940 წელი წარმატებით დაამთავრონ. დაუღალავად ვიბრძოლებთ მეტი და მაღალი ხარისხის მარგანეცისათვის.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს, სტალინის ერთგულ მოწაფეს, ამხანაგ ლავრენტი **ბერიას!**

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადს, ამხანაგ **სტალინს! (ტაში).**

ამხ. პ. პაქსაშვილის სიტყვა

საქ. კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის მდივანი

ამხანაგებო! საგარეჯოს რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა საანგარიშო პერიოდში პარტიაში მიიღეს 589 ამხანაგი, მათ შორის პარტიის წევრობის კანდიდატებად 431 ამხანაგი, ხოლო წევრებად 158 ამხანაგი. პარტიის რიგებში მიღებული არიან სტახანოველი კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ პარტიაში მიღების საქმეში გვაქვს ნაკლოვანებანიც; არადამაკმაყოფილებელია პარტიაში მოწინავე ქალთა მიღება, რის შესახებაც სავსებით სწორად მიგვითითა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა.

კომუნისტების რიცხობრივ ზრდასთან ერთად რაიონში გაიზარდა პირველადი პარტორგანიზაციების რიცხვიც.

ვხელმძღვანელობდით რა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებით „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლაზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების დასახმარებლად 1939 წელს ჩავატარეთ 130 ლექცია, რომლებსაც 6.104 კაცი დაესწრო. გარდა ამისა, მოვაწყეთ 17 თეორიული კონფერენცია, რომლებსაც დაესწრო 1.300 კაცი. ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაცია გაეწია 3.000 ამხანაგს.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ პარტრაიკომი ჯერ კიდევ არასაკმაოდ ეხმარება იმ ამხანაგებს, რომლებიც დამოუკიდებლად ეუფლებიან მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას. ზოგჯერ ლექციები და კონსულტაციები დაბალი ხარისხით ტარდება.

რაიკომი დიდ ყურადღებას აქცევდა ახალი კადრების ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე დაწინაურებას. საანგარიშო პერიოდში დაწინაურებულ იქნა 98 ამხანაგი, რომლებიც ამჟამად ცუდად არ მუშაობენ. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჩვენ ჯერ კიდევ სუსტად ვმუშაობთ რეზერვის შექმნისათვის.

რაიონში არსებული კოლმეურნეობები განმტკიცდნენ პოლიტიკურად და ორგანიზაციულად. კოლმეურნეობის სათეს ფართობს 25.200 ჰექტარი უჭირავს.

თუ ავიღებთ ცალკე კოლმეურნეობებს, როგორიცაა, მაგალითად, სოფ. კრასნოგორსკის კ. ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა, სოფ. მანავის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა და სხვ., აქ მარცვლეულის მოსავალი მიიღეს 15-16 ცენტნერი საშუალოდ ჰექტარზე, ხოლო კარტოფილისა — ჰექტარზე 100-120 ცენტნერამდე.

მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად გაიზარდა შრომადღის ღირებულება. 1937 წლის შრომადღეზე საშუალოდ განაწილებულ იქნა 2,7 კილოგრამი მარცვლეული, 1938 წელს —3,5 კილოგრამი, ხოლო 1939 წელს 4,2 კილოგრამი. ცალკეულმა კოლმეურნეობებმა კიდევ უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს. სოფ. სართიჭალის ტელმანის სახელობის მილიონერმა კოლმეურნეობამ 1939 წელს 1.500 ათასი მანეთი ფულადი შემოსავალი მიიღო. შრომადღეზე გაცემულ იქნა ფულად 5 მანეთი და 30 კაპ., 6½ კილოგრამი მარცვლეული, 2 კილოგრამი კარტოფილი და სხვა პროდუქტები. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (სოფ. მანავი) შრომადღეზე გასცა 18 კილოგრამი მარცვლეული და ა. შ.

ლიკვიდირებულია სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების დამახინჯების შემთხვევები.

ამხ. ბ. გოგუას სიტყვა

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი

კულტურის შემდგომი განვითარების დარგში პარტიის XVIII ყრილობის მიერ დასახულმა ამოცანებმა ხელოვნების მუშაკებს უდიდესი მოვალეობანი დააკისრეს.

მხატვრულ-შემოქმედებითი ორგანიზაციების ხაზით მუშაობა საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ისეთი სპექტაკლების შექმნის ნიშნით, რომლებიც თავისში ატარებენ ნათელ ბოლშევიკურ იდეას და მაღალ მხატვრულობას, სინამდვილის სწორად ასახვას, ახალი ადამიანის ჩვენებას.

საქართველოს თეატრებმა, რომლებიც საუკეთესო საბჭოთა თეატრების პირველ რიგებში გამოვიდნენ, განამტკიცეს მათ მიერ მოპოვებული შემოქმედებითი პოზიციები.

დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის შედეგად რუსთაველის სახელობის თეატრმა ერთერთი თვალსაჩინო ადგილი დაიკავა კავშირის დიდ თეატრებს შორის.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრსაც აქვს შემოქმედებითი წარმატებანი.

დიდ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა გრიბოედოვის სახელობის თეატრი, რომელმაც მთელი რიგი დადგმებით კოლექტივის მნიშვნელოვანი შემოქმედებითი და მხატვრული ზრდა გვიჩვენა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მიღწევები გრიბოედოვის სახელობის თეატრისა და სომხური დრამის თეატრისა, რომლებმაც დასდგეს შ. დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან“.

კარგად მუშაობს ქუთაისის თეატრი, გააუმჯობესეს მუშაობა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის თეატრებმა.

მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი მუშაობა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანმა სახელმწიფო თეატრმა, რომელმაც შესძლო პირველად განეხორციელებინა დადგმა ისეთი მონუმენტალური საბჭოთა ოპერებისა, როგორიცაა „წყნარი დონი“ და „ჯავშნოსანი პოტიომკინი“. მართალია, რომ თეატრის მუშაობის არსებითს ნაკლს წარმოადგენს ნაციონალური ოპერების ნაკლებობა რეპერტუარში. ეს ხარვეზი წელსვე უნდა გამოსწორდეს. მიმდინარე წლის აგვისტოში დამთავრდება და გადაეცემა თეატრს ოპერები: კომპოზიტორ კილაძისა—„ლადო კეცხოველი“, ბალანჩივაძისა—„ბედნიერება“ და ტუსკიასი—„სამშობლო“.

მხატვრული თვითმოქმედება გაშლილია ორი ათას წრეში. ქ. მოსკოვში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნილმა საკოლმეურნეო თვითმოქმედმა ანსამბლმა მაღალი შეფასება მიიღო. საკავშირო გამოფენაზე წარმოდგენილი ქართული ხალხური სახვითი ხელოვნების ნიმუშები მხატვრული წარმატებით სარგებლობენ. ხალხური ხელოვნების ყველა სახის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის ხალხური შემოქმედების სახლთან მოწყობილია სამხატვრო-ექსპერიმენტალური სახელოსნოები, რომლებიც ამზადებენ ძვალზე, ხეზე, ქვაზე მოჩუქურთმების, ხალიჩების, ქსოვის, ქარგვისა და კერამიკის ოსტატებს.

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის ხაზითაც გვაქვს იდეურ-შემოქმედებითი ზრდა. უფროსი თაობის ოსტატთა წარმატებებთან ერთად იზრდებიან ახალგაზრდა მხატვრები, მოქანდაკეები და გრაფიკოსები. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ამხანაგ სტალინის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ჩვენმა კომპოზიტორებმა შექმნეს დიდი მხატვრული ნაწარმოებნი აქტუალურ თემებზე. განხორციელებულია ამხანაგ **სტალინისადმი** მიძღვნილი კანტატის დადგმა.

საქართველოს ფილარმონიამ და სახესტრადამაც საკმაოდ კარგად გაშალეს თავისი მუშაობა. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ წითელი არმიის ნაწილების კულტურული მომსახურება ისე დაყენებული, რომ უკვე მეოთხე წელია ხელოვნების ჩვენს მუშაკებს უჭირავთ სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის გარდამავალი დროშა.

მაგრამ ჩვენს მუშაობაში მაინც ჯერ კიდევ გვაქვს მთელი რიგი ნაკლოვანებანი. ჩვენი დრამატურგია და თეატრი კვლავ ჩამორჩენილი არიან. მეტად ღარიბია თავდაცვითს, ანტირელიგიურ თემატიკაზე დაწერილი პიესების სია. მეორე ნაკლია რაიონული საკოლმეურნეო თეატრების ჯერ კიდევ სუსტი მუშაობა და სხვ.

ჩვენი მუშაობის გაუმჯობესება დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა პარტიული ორგანიზაციების უფართოეს დახმარებაზე.

---

*) სიტყვები იბეჭდება შემოკლებით.

საზღვარგარეთ

35 ფრანგი კომუნისტი დეპუტატის პროცესი

პარიზი, 27 მარტი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ დღეს დილით კარდახურულ დარბაზში გრძელდებოდა 35 ფრანგი კომუნისტი დეპუტატის პროცესი. დაჰკითხეს სამ ბრალდებულს. დასაკითხია კიდევ 10 კაცი. გამოურკვეველია, დაიწყება თუ არა ხვალ საღამოს დაკითხვა მოწმეებისა, რომელთა რიცხვიც 100 კაცს აღწევს. დღეს საღამოს დაკითხვა გრძელდება.

O

ლონდონი, 27 მარტი (საკდესი). ხუთმა გამოჩენილმა ინგლისელმა ლეიბორისტმა და პროგრესიულმა მოღვაწემ პროტესტი განაცხადა პარლამენტის დეპუტატების—ფრანგი კომუნისტების დევნის წინააღმდეგ.

ლეიბორისტთა მთავრობის ყოფილმა განათლების მინისტრმა ჩარლზ ტრეველიანმა ფრანგი კომუნისტების დევნა დაახასიათა როგორც „ნიშანი ტირანიისა და დემოკრატიაზე უარის თქმისა“.

ორთქლმავლის მემანქანეთა პროფკავშირის ყოფილი გენერალური მდივანი სკუენსი დაჟინებით მოითხოვს, რომ საჭიროა პროტესტის განცხადება ფრანგი კომუნისტების დევნის წინააღმდეგ.

ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა მიტჩელმა განაცხადა, საფრანგეთში ასეთი მეთოდების აშკარა გამოყენება, თუ ამას წინააღმდეგობა არ გავუწიეთ, ნიადაგს მოამზადებს იმისათვის, რომ ეს მეთოდები ინგლისშიაც გამოყენებულ იქნას.

პარლამენტის წევრი ლეიბორისტი ვეჯვუდი გადაჭრით ჰგმობს იმ ნაბიჯებს, რომლებიც საფრანგეთში კომუნისტი დეპუტატებისა და პროფკავშირული მოღვაწეების წინააღმდეგ გადადგეს.

ხის დამმუშავებელთა კავშირის თავმჯდომარე გოსიპი ჰგმობს საფრანგეთის მთავრობის მოქმედებას, რომელიც მიმართულია პროფკავშირული მოღვაწეების წინააღმდეგ.

ფინეთის ახალი კაბინეტი

სტოკჰოლმი, 28 მარტი (საკდესი). ფინეთის საინფორმაციო ბიურო იუწყება ფინეთის ახალი კაბინეტის შემდეგს სრულ შემადგენლობას: პრემიერი—ფინეთის ბანკის დირექტორი რისტო რიუტი, საგარეო საქმეთა მინისტრი—პროფესორი როლფ ვიტინგი, იუსტიციის მინისტრი—ოსკარი ლეხტონენი, შინაგან საქმეთა მინისტრი—ერნსტ ფონ-ბორნი, სამხედრო მინისტრი — გენერალ-მაიორი რუდოლფ ვალდენი, ფინანსთა მინისტრი—მაუნო პეკალა, განათლების მინისტრი—ანტი კუკონენი, მიწათმოქმედების მინისტრები—პეკა ხაიკინენი და იუხა კოივისტო, გზათა და საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრები—ვაინო სალოვაარა და კარლ-ერიკ ეკჰოლმი, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი—ვაინო კოტილაინენი, სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი—კარლ ფაგერჰოლმი, მომარაგების მინისტრი—ტანერი.

ამგვარად მთავრობის წინანდელი შემადგენლობიდან ახალ კაბინეტში არ შესულან: ყოფილი იუსტიციის მინისტრი—სედერჰოლმი, ყოფილი განათლების მინისტრი—ხანულა, ყოფილი სამხედრო მინისტრი—ნიუკანენი, ყოფილი მომარაგების მინისტრი—ფიანდტი და ყოფილი უპორტფელო მინისტრი—პაასიკივი.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩრდილოეთ ჩინეთში

სუიუანის პროვინციის დასავლეთ ნაწილის ფრონტზე ჩინეთის ჯარი უიუანის დაკავების შემდეგ ფეხდაფეხ მისდევს იაპონელებს. ჩინეთის ერთმა რაზმმა იაპონელები განდევნა სიშანჯუიდან (60 კილომეტრზე უიუანის აღმოსავლეთით), მეორემ—მთიანი რაიონის ულაშანის აღმოსავლეთ-ფერდობიდან, 25 კილომეტრზე ბაოტოუს დასავლეთით.

უიუანში მოკლულ იაპონელთა შორის აღმოაჩინეს გარნიზონის უფროსი გენერალი მიძუკავა. 700-ზე მეტი კაცისაგან შემდგარი იაპონელთა რაზმი, რომელიც ბეიპინის დასავლეთით გაიგზავნა ჩინელ პარტიზანებთან საბრძოლველად, იძულებული გახდა თავისი ბაზისაკენ დაეხეულიყო. ჩინელებმა ხელთ იგდეს 17 ტყვიამფრქვევი, 170 შაშხანა, 400 ცხენი და დიდძალი სამხედრო ქონება.

სამხრეთ ჩინეთში

იაპონიის ჯარი განაგრძობს უკან დახევას ლინშანის რაიონიდან.

ჩინეთის ჯარმა იერიში მიიტანა 1000 კაცისაგან შემდგარ იაპონელთა რაზმზე სინხოის სექტორში (კანტონის სამხრეთ - დასავლეთი). იაპონელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

ცენტრალურ ჩინეთში

მდინარე იანძის სამხრეთ ნაპირზე, ანხუეის პროვინციაში, 25 მარტს იაპონიის ჯარი შეტევაზე გადავიდა ჩინეთის პოზიციების წინააღმდეგ, რომლებიც ორჯერ გადავიდა ხელიდან ხელში.

ჩინეთის რაზმი თავს დაესხა რკინიგზის სადგურ იუნცის (იოჯოუსა და ლინსიანს შორის, ხუნანის პროვინციაში). ჩინელებმა ვაკისი აჰყარეს, ტელეფონისა და ტელეგრაფის გაყვანილობა ჩამოხსნეს და თავიანთი ბაზისაკენ დაიხიეს.

O

26 მარტს ჩინეთის ორი ყუმბარამტყორცნი და 7 ავიაგამანადგურებელი ორჯერ გამოჩნდა ნანკინზე და რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო.

28 მარტი (საკდესი).

უელესი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნდა

ნიუ-იორკი, 28 მარტი (საკდესი). დღეს იტალიის გემით „კონტე დი სავოია“ ნიუ-იორკს ჩამოვიდა უელესი. იგი დაუყოვნებლივ გაემგზავრა ვაშინგტონს.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში უელესმა განაცხადა: ევროპაში სრული შესაძლებლობა მომცეს საჭირო ინფორმაციის მისაღებად.

მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის რაისაბჭოს II სესიის მოწვევის შესახებ

მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

მოწვეულ იქნას მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის რაიონული საბჭოს მორიგი მეორე სესია ა. წ. 2 აპრილს, საღამოს 7 საათზე თბილისის საქალაქო აღმასკომის წითელ დარბაზში (ბერიას მოედანი № 2).

მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

გ. აბესაძე

მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი

გ. ხურცილავა

ნიზამი განჯელისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო

31 მარტს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კლუბში გაიმართება აზერბაიჯანის გენიალური პოეტის ნიზამი განჯელის დაბადებიდან 800 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

ნიზამი განჯელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვა ამხ. შახვალდი. შემდეგ სიტყვებით გამოვლენ ამხ. პ. ინგოროყვა და დ. კობიძე. ნიზამის ნაწარმოებთა ნაწყვეტების ქართულ საკუთარ თარგმანებს წაიკითხავენ ი. აბაშიძე, ს. ჩიქოვანი, ი. მოსაშვილი, ი. გრიშაშვილი, კ. კალაძე, რ. გვეტაძე და ა. ჭელიძე. ნიზამისადმი მიძღვნილ ლექსებს და მის ნაწარმოებთა ნაწყვეტებს აზერბაიჯანულ ენაზე წაიკითხავენ—სულეიმან რუსტამი, ალი ხალები, მ. ბახტიარლი, ტ. რავანი, ა. სეიფულა, ა. სულტანი და ბ. ადილი.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მ. ფ. ახუნდოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მსახიობები, მხატვრული კითხვის ოსტატი მსახიობი-ქალი ქალანთარი და სხვ.

გათხრა მცხეთა-სამთავროში

აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის მოხსენება

28 მარტს საღამოს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობაში შესდგა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელიც გახსნა პროფ. ს. ნ. ჯანაშიამ. სხდომას დაესწრო 500-ზე მეტი კაცი—მეცნიერი მუშაკები, მწერლები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და საწარმოთა წარმომადგენლები. უაღრესად საინტერესო საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა აკადემიკოსი ი. ა. ჯავახიშვილი მცხეთა-სამთავროში იმ არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც შექმნილია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით.

გათხრა 1938 წლის ოქტომბერში დაიწყო. მალე იქნა აღმოჩენილი დიდძალი სამარხი და უძვირფასესი არქეოლოგიური ნაპოვნი, რის გამო მოეწყო გეგმაშეზომილი მუშაობა, რომლისათვის მეთვალყურეობის გასაწევად შეიქმნა ორი კომისია—მთავრობის კომისია—საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ამხ. გ. ი. კიკნაძის მეთაურობით და საექსპერტო კომისია. მუშაობას აწარმოებდა ორი ჯგუფი — ჩრდილოეთის ჯგუფი არქეოლოგ ა. ნ. კალანდაძის ხელმძღვანელობით და სამხრეთის ჯგუფი—არქეოლოგ მ. მ. ივაშჩენკოს მეთაურობით.

დღეისათვის მცხეთის ძველი 2-3 იარუსიანი ნეკროპოლის ვრცელ. ტერიტორიაზე, რომელსაც 14 ჰექტარამდე ნაკვეთი უჭირავს, გათხრილია 6.067 კვ. მეტრი ფართობი, რომლის დროსაც აღმოჩენილია 1.051 სამარხი. გრუნტის სამარხები (ბრინჯაოსა და რკინის ეპოქა) ეკუთვნის პერიოდს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლედის დამლევიდან დაწყებული ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლედის შუა ხანებამდე. შემდეგ მიდის ქვევრის სამარხები (პერიოდი ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე), რის შემდეგ იწყება სამარხები ქვის ყუთებში, რაც ჩვენი წელთაღრიცხვის V და VI საუკუნემდე აღწევს.

ძველ სამარხებში აღმოჩენილია მდიდარი ინვენტარი. შავი თიხის ჭურჭელი, გლაზირებული კერამიკა, იარაღი, სამკაულები. ქვევრებისა და ყუთების სამარხებში ნაპოვნია 83 გემა (რაც მოწმობს საქართველოს გაცხოველებულ ურთიერთობას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან). შუშის ჭურჭელი, უამრავი ვერცხლისა და ოქროს სამკაული და მძივები, აგრეთვე მონეტები. გათხრის ორივე უბანზე რეგისტრირებულია ნაპოვნთა 6517 ნომერი. ყურადღების ღირსია მამაკაცის ბრინჯაოს უნიკალური მკერდის სამკაული, რაც პირველად არის ნაპოვნი სამარხების სივიწროვე იმას მოწმობს, რომ საქართველოს ძველი დედა-ქალაქის — მცხეთის მოსახლეობა მჭიდროდ იყო დასახლებული. დაკრძალვის რიტუალი უძველესი ეპოქიდან უგვიანეს ეპოქამდე არ შეცვლილა და ეს იმას მოწმობს, რომ მოსახლეობის ეთნიურ შემადგენლობაში ამ ეპოქაში ცვლილება არ მომხდარა. მომხსენებელი აყენებს საკითხს—რატომ არ სცილდება ნაპოვნი მასალები ბრინჯაოს ეპოქას? ისტორიული მონაცემების საფუძველზე მან გამოსთქვა მოსაზრება, რომ არსებობდა ორი მცხეთა—უფრო ძველი და ახალი, ამასთან აღნიშნა, რომ ექსპედიციის მუშაობა უკანასკნელი შეხებაა. უძველესი კულტურის ნაშთები ძველ მცხეთაში უნდა ვეძებოთ.

მცხეთა-სამთავროს რაიონში წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოები გაგრძელდება და უეჭველად მოგვცემს ახალ ძვირფას შედეგებს საქართველოს მატერიალური კულტურის შესახებ.

აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის მოხსენებამ ხალხმრავალი აუდიტორიის უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მოხსენების დროს ეკრანზე უჩვენებდნენ გათხრის ადგილების, აგრეთვე დიდძალი ნაპოვნი ნივთების ფოტოსურათებს. (საქტაგი).

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

31 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება ამხ. თავხელიძის ლექცია თემაზე: „მარქსისტულ-ლენინური პროგრამა ნაციონალურ საკითხში (ლენინ - სტალინის შრომებში)“ ქართულ ენაზე.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში ყოველდღიურად სწარმოებს კონსულტაცია პროპაგანდისტების, მომხსენებლების, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“, მარქსიზმ-ლენინიზმს, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე.

კონსულტაცია სწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა — „ტრავიატა“, **რუსთაველის სახელობის** — „გმირთა თაობა“, **მარჯანიშვილის სახელობის** — „მზის დაბნელება საქართველოში“, **მუსკომედია** — „აზნაურები“.

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „არინკა“, **ოქტომბერი** — „გამანადგურებელნი“, **დაჭკრელი** — „არინკა“, **კომკავშირელი** — „ბედნიერების მაძიებელნი“, **სპარტაკი** — „გამანადგურებელნი“, **ლუქსემბურგის სახ.** — „კინოს ოცი წლისთავი“, **26 კომ. სახ.** — „პეპო“, „კატა და ძაღლი“, **კომინტერნი** — „მიგდებული ბავშვი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

სახცირკი

ცირკის ბილეთების წინასწარი გაყიდვა სწარმოებს წითელი არმიის სახლის სალაროში, რუსთაველის პროსპ. № 10

მოსახლეობის, აგრეთვე წითელარმიელების, მეთაურთა შემადგენლობის, მათი ოჯახების და თავდაცვის სახ. კომისარიატის თავისუფლად დაქირავებული შემადგენლობის უკეთესად მომსახურების მიზნით სახცირკმა ა. წ. 19 მარტიდან მოაწყო ბილეთების გაყიდვა წითელი არმიის სახლის სალაროში ყოველდღიურად დღის 12 საათიდან საღამოს 6 საათამდე, გარდა ცირკის დასასვენებელი დღისა (ექვსდღიურის მეორე დღისა).

80 დირექცია.

სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ,

თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიოგადაცემათა კომიტეტის მითითებისა, რადიოინფორმაციების, განცხადებების, რეკლამების და სხვა გადაცემების ტარიფი 1940 წლის პირველი აპრილიდან წესდება მეორე კატეგორიის მიხედვით, ესე იგი გადაცემების ტექსტისათვის თვითეულ სიტყვაში ერთი მანეთი, ხოლო მუსიკის ფონზე—ორი მანეთი.

103 **საქრადიოკომიტეტი.**

ძმა ეგნატე, რძალი ოლღა, ძმისწულები ნინო, ქეთო, მარგალიტა, მიშა, ირაკლი მენთეშაშვილები, რძლები მარგალიტა, ვერა, სიძეები პეტრე წივწივაძე, გიორგი ტივაძე იუწყებიან ძვირფასი
ივანე (ვანო) მენთეშაშვილის
გარდაცვალებას. 5864

ძმა დიმიტრი კონსტანტინეს-ძე მალაღურაძე, რძალი საშა ბარამიძე, ძმისწული დოდონა ღრმა მწუხარებით იუწყებიან
ელენე კონსტანტინეს-ასულ მალაღურაძე-სალაძის
გარდაცვალებას ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ. დაკრძალვა 31/III ქ. ზესტაფონში 5 საათზე.

და მარო (ლეტუშა), სიძე თეოფანე ჩიქოვანები შვილებით ნელით და ლეილათი იუწყებიან
იროდიონ ბარნაბის-ძე ნანეიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 30/III 4 ს. ძერჟინსკის, 6, ვაკის სასაფლაოზე. 5826

„საშრეწვმშენკავშირის“ თანამშრომლები იუწყებიან ამავე კავშირის თანამშრომელ ლიპარიტ კობახიძის მამის
პარმენ კობახიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/III 5 ს. 5855

ილიკო და ჟუჟუნა ფურუშაძეები შვილებით სერიოჟათი და იურათი იუწყებიან გრიშა და აგრაფინა ჩხარტიშვილის შვილის
ლიანას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 30/III 7 ს. გოგოლის, 53. გამოსვენება 31/III 5 ს. 5863

მშობლები გრიშა, საშა, ძმა გურამ, ბებია ჟუჟუნა ცომაიები, მამიდა თათუშა კვანტალიანისა ქმრით სევერიანეთი, შვილებით ეთერიკოთი, ციტუთი, კუკუთი იუწყებიან, რომ 31/III 1 ს. აბაშაში დანიშნულია
პატარა ლამარას
პანაშვიდი. 5837

ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტის მე-2 თერაპიული განყოფილება, პროფ. ნ. ა. ყიფშიძე ექიმებით იუწყება, რომ 30/III 1 ს. დიდუბის სასაფლაოზე დანიშნულია
პროფესორ სპირიდონ ქირსალაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 5858

ცოლი ნინო, შვილები თამარ, სულიკო, სიძე გიორგი, შვილიშვილი გია იუწყებიან, რომ 30/III 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
დავით დიმიტრის-ძე ლორთქიფანიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 5860

გ. ტივაძე ოჯახით იუწყება
ივანე (ვანო) მენთეშაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 30/III 4 ს. გოცირიძის, 25, კუკიის სასაფლაოზე. 5866

სონა, ილიკო, ვენერა და ლაშა შუბლაძეები იუწყებიან
ვანო ისაკის-ძე მენთეშაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 30/III 4 ს. გოცირიძის, 25, კუკიის სასაფლაოზე. 5864

მძევაშვილი, თავზარაშვილი, მეშანიშვილი, ბუცხრიკიძე, ყენია, წულაძე, ჯიმშელეიშვილი, ქურიძე, თალარიშვილი, დალაქიშვილი, ნამიჩეიშვილი, შენგელია, ცხოვრებაშვილი, ვარდანაშვილი, ბერიშვილი იუწყებიან ანდრო გამყრელიძის მამის
გიორგი გამყრელიძის
გარდაცვალებას. 5857

გრიშა და ვარდო ბირკაიები ოჯახით იუწყებიან მეგობრის ექ. ლიუბა ხერხაძის დედის
ელენე ლევანის-ასულ ხერხაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/III ქ. ფოთში.

მეუღლე სერგო ჯაფარიძე, შვილით ზურაბით, სიძით გრიშა აბესაძით, შვილიშვილით რუსუდანით იუწყება, 30/III 1 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია მეუღლისა და შვილის
მარიამ და ხაშა ჯაფარიძეების
სამოქალაქო პანაშვიდი. 5831

უახლოესი მეგობრები ს. დოლიძე, ვ. შალამბერიძე, ქ. სართანია, კ. როგავა, მ. ხვიჩია, ჩ. შენგელია, შ. ლომსაძე, რ. ოკინაშვილი, მ. ჯიშკარიანი, ა. ონოფრიშვილი იუწყებიან გიორგი ანდღულაძის ძმის
ვახტანგის
გარდაცვალებას. 5852

ცოლი მარგალიტა, ცოლისძმა მიტუშა, დები ბაბულია, ვარა, კატუშა ელენე ქმარშვილით, ძმა კარაპეტა იუწყებიან
სერგო გიორგის-ძე გასპაროვის
გარდაცვალებას. გამოსვენება 31/III 5 ს. კლარა ცეტკინის 59, კუკიის სასაფლაოზე. 5868

დედა თალიკო, დები კატო, ელენე, ძმები რამაზ, გიგა, გიორგი ცოლშვილით იუწყებიან
ვანო დიმიტრის-ძე ახმეტელის
გარდაცვალებას. გამოსვენება 30/III 1 ს. ქალაქის მეორე საავადმყოფოდან ვაკის სასაფლაოზე. 5854

გ. ნაცვლიშვილი, გ. გაბაშვილი, რ. სახაროლიძე, გ. ხუნდაძე, გ. კეჩხუაშვილი, გ. კალანდარიშვილი, ი. ცხოვრებაძე, გ. ხოჭოლავა, ლ. ჭანტურიშვილი, ბ. ღვინიაშვილი, შ. ჯულელი იუწყებიან
ვოკა უგრეხელიძის
გარდაცვალებას. 5877

მშობლები მარო და ვასო, ძმა შალვა ცოლით ნინოთი, ბიძაშვილები ლენა, მანანა, ნინო, რამაზ ვარდიაშვილები იუწყებიან ძვირფას
სერგო მარტაშვილის
გარდაცვალებას. 5856

მეუღლე ვალიკო, შვილები ნანული, მანანა, დედამთილი ანეტა, მაზლები კაკო, ვახტანგ სალაძეები იუწყებიან
ელენე კონსტანტინეს-ასულ სალაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზესტაფონში 31/III 5 ს. გამოსვენება ანდრეევის, 25. პანაშვიდი 30/III 6 ს. 5873

მშობლები ბარბარე, გრიგოლ, ცოლი ნინო, შვილი გაიოზ, დები ნინო, ელენე, ქეთევან, ძმა ალექსანდრე, სიძეები გეგეჭკორი, ხატიაშვილი, ღვინერია, სიდედრი ეზოპინე, სიმამრი ავგუსტინე ოჯახით იუწყებიან
ირაკლი გრიგოლის-ძე ხუციშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 31/III 5 ს. უფლისციხის, 2. 5872

ვალოდია სალაძე დედით სოფიოთი, ცოლით პასიკოთი, შვილებით გულიკოთი, იუზათი, ზაირათი და დონარათი იუწყება ვალიკო სალაძის ცოლის
ელენე სალაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 31 მარტს, ქ. ზესტაფონში.

მშრომელთა დეპუტატების ველისციხის სას. საბჭოს აღმასკომი და პარტორგანიზაცია იუწყებიან ამავე სოფლის სკოლის მასწავლებელ რაისაბჭოს დეპუტატის
თამარ ივანეს-ასულ ბელიაშვილის
გარდაცვალებას. 5861

შვილები სონია, გრიშა, რძლები მარო, დარეჯან, სიძე ნიკო ბერეჟიანი, შვილიშვილები იუწყებიან
ესე ანდღულაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/III ბაზ-ვში. 5859

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებები სა- პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24 პ.-მგ. მორიგის და გამომშვების— 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული 1484